პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 ხუთშაბათი 13 იანვარი № 10 (16747) ფასი 2 კაპ. 1977

ეკონომიური და სოციალური პროგრესის მძლავრი ბერკეტი, მშრომელთა პოლიტიკური, ფრონტი-თი და ზნეობრივი აღზრდის სკოლა — სოციალისტური შეჯიბრება, რომელსაც ჰეშმარიტად საყოველთაო სახალხო ხასიათი მიენიჭა და უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა.

დიდ გეგმებს — დიდი ორღვევა!

ვიყოთ მხოლოდ მოწინავენი, არცერთი ჩამორჩენილი არ უნდა იქნეს ჩვენს რიგებში! — ასეთი პატრიოტული მიზნით გამსჭვალული შეუდგნენ შრომას ახალ წელს, დიდი ოქტომბრის მე-60 საიუბილეო წელიწადს, საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც ენთუზიაზმით გაეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“. და იყისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებები.

ამ დიდი ვალდებულებების შესრულებას მათ საფუძველი ჯერ კიდევ შარშან ჩაუყარეს, როცა წარმოების ყველა რგოლში განუხრელად იბრძოდნენ პირადი პასუხისმგებლობისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის, როცა პატრიოტული თაოსნობებით უპასუხეს სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის ისტორიულ დადგენილებას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შრომებსა და გამოსვლებში მოცემულ იმ სახელმძღვანელო დებულებებსა და მითითებებს, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ ჩვენს დღევანდელ მუშაობაში.

ამიტომაც იყო, რომ მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა ვადაზე ადრე, 25 დეკემბრისათვის შეასრულეს, სამშობლომ მიიღო მილიონობით მანეთის უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქცია, სახალხო მოხმარების ნაწარმი, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, ამაღლდა ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი პროდუქციის საერთო მოცულობაში.

ბევრმა კოლექტივმა ეფექტიანი და ხარისხოვანი შრომის შესანიშნავი მაგალითი აჩვენა. თვალსაჩინოა რუსთაველი მეტალურგთა მაგალითისამებრ გაშლილი შეჯიბრების შედეგები. წარმოების ყველა რგოლში ამაღლდა მუშაკთა პირადი პასუხისმგებლობა, უფრო მტკიცე გახდა სოციალისტური დისციპლინა, გეგმა-ვალდებულებების შესრულება მუშაკთა შინაგან მოთხოვნილებად იქცა.

ძველი წლის მაჩვენებლების ანალიზიდან ვრწმუნდებით, რომ საქართველოს მრეწველობის მშრომელებმა არ შეანელეს და კიდევ უფრო გააძლიერეს უკომპრომისო ბრძოლა ნეგატიური მოვლენების და ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის, დამკვრელურად იშრომეს 1976 წლის გეგმა-ვალდებულებების შესასრულებლად და ყველა რგოლში შეძლეს იმამაღლებინათ წარმოების ეფექტიანობა, გაეუმჯობესებინათ ნაკეთობათა ხარისხი.

მაგრამ განვლილი წლის შედეგები იმაზედაც მიგვანიშნებს, რომ ყველაფერი ჯეროვნად ვერ გავაკეთეთ იმ შრომითი დევიზის სრულყოფილად განხორციელებისათვის, რომელიც პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას თავალსწინებდა. როგორც ჩანს, ზოგიერთ კოლექტივში ჯერაც ვერ აუბეს მხარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრინციპულ მოთხოვნებს, რომლებიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში, აგრეთვე მიღებულ ქმედით დადგენილებებში იყო დასახული.

შარშან მესამე კვარტალში შესაბამისი ორგანოების მიერ მოწყობილმა მასობრივმა შემოწმებამ გვიჩვენა, რომ პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლა, რაც მეათე ხუთწლედის ძირითადი მოთხოვნაა, კოლექტივებში ჯერ კიდევ სუსტად მიმდინარეობს. მომხმარებელს თავს ვაბეზეთ ისეთ პროდუქციას, რომელიც არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს.

168 შემოწმებული საწარმოდან 94-ში ირღვეოდა სტანდარტები და ტექნიკური პირობების მოთხოვნები, და ეს ისეთი საწარმოებია, რომლებიც უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციას, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონელს უშვებენ. დაწუნებულ იქნა სახეხი ჩარხები და ტრანსფორმატორები, სამკერვალო და სატრიკოტაჟო ნაწარმი, პურპროდუქტები...

ასე დაემარათათ, მაგალითად თბილისის ქარხანა „ელექტროშედუღებაში“, სოხუმის გაზის აპარატურის ქარხანაში, ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატში, თბილისის კამვოლური ფაბრიკაში, ხაშურის საგალანტერეო ფაბრიკაში, ცხინვალის პურკომბინატში, რომლებმაც წლის დასაწყისში გადიდებული ვალდებულებები იკისრეს ეფექტიანობის და ხარისხის ამაღლებისათვის, წარმოების ყველა რგოლში პასუხისმგებლობის ასამაღლებლად და დისციპლინის განსამტკიცებლად. მაგრამ ეს ვალდებულებები თანდათან მიივიწყეს, ვერ შეასრულეს.

დღეს, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სავსებით საშართლიანად და კანონიერად მოითხოვს ჩვენგან საერთო მუშაობის ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას, როცა პრინციპულ სიმაღლეზეა ასული ბრძოლა ყველა რგოლში, ყველა უბანზე ჩამორჩენის დასაძლევად, ჩამორჩენისადმი შემრიგებლობის გამოჩენა კოლექტივების სამეურნეო ხელმძღვანელებს, პარტიულ ორგანიზაციებს აღარ ეპატიებათ.

ამგვარ ნაკლოვანებებს წლეულს ვეღარ შევურიგდებით. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე მთელი პრინციპულობით აღინიშნა, რომ ჩვენი მრეწველობის მუშაკებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ეფექტიანობის ამაღლების ყველა რეზერვი. მათ მუდამ უნდა ახსოვდეთ თავიანთი პატრიოტული ვალდებულება, რომელიც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ მიიღო და მოიწონა, რომ მეათე ხუთწლედი საქართველოს ეკონომიკისა და სოციალური ცხოვრების ყველა დარგში ჩამორჩენის დაძლევისა და რესპუბლიკის მოწინავე პოზიციებზე გაყვანის ხუთწლედი უნდა იყოს.

პარტიის ამ მოთხოვნის გათვალისწინება აუცილებელია ჩვენს წლევანდელ ვალდებულებებსა და შემხვედრ გეგმებში, რომლებსაც ახლა ვკისრულობთ და განვიხილავთ. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ თვითეული კოლექტივი, თვითეული მუშაკი მაქსიმალურ ნაყოფიერებას ავლენდეს, ჰქონდეს სამუშაო დროის ყოველი წუთის ანგარიში. უნდა წავახალისოთ თვითეული კარგი, სახარგებლო წამოწყება, ინიციატივა, ხიახლე, ფართო გზა მივცეთ მას.

ახალმა წელმა ახალი ამოცანები მოგვიტანა და ახალი ხაზრუნვაი გაგვიჩინა. ჩვენი ძიება და სწრაფვა დღეს იმაზე ფიქრით უნდა იყოს სავსე, რა ახალი გამარჯვებებით აღვნიშნავთ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს, თუ რა ჭეშმარიტად დამკვრელური შრომით ვუპასუხებთ იმ დიდ ზრუნვას, რასაც პარტია და მთავრობა, საქართველოს მშრომელების, მათს შორის მრეწველობის მუშაკების საქმიანობისადმი იჩენენ.

ამიტომ თვითეულ კოლექტივს, თვითეულ მუშაკს კარგად უნდა ახსოვდეს თავისი კონკრეტული პირობა — ვალდებულება, რომელიც მან ამ ღირსეულ თარიღს მიუძღვნა, და უთუოდ შეასრულოს იგი. ყოველ რგოლში უნდა ავამაღლოთ პასუხისმგებლობა მასობრივი მოთხოვნის საქონლის ხარისხისადმი, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა გავზარდოთ ხარისხის უმაღლესი კატეგორიის ნაწარმის გამოშვება, ამას მოითხოვს ჩვენგან სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება მასობრივი საქონლის წარმოების განვითარების და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, რომელიც პრესაში ახლახან გამოქვეყნდა.

ჩვენი შეჯიბრების დევიზიც და ამ შეჯიბრების ძირითადი მოთხოვნა ის არის წლეულს ვეძებოთ და წარმოების სამსახურში ჩავაყენოთ ფარული რეზერვები, დავაფინანსოთ ჩამორჩენილი საწარმოები, მტკიცე მოამბირნეობა, ყირათიანობა გამოვიჩინოთ ყველგან და ყველაფერში და მხოლოდ შეგნებული პასუხისმგებლობით და მტკიცე დისციპლინით მივუდგეთ მინდობილ საქმეს.

ამთავითვე დამკვრელურად შევუტიოთ საიუბილეო წლის დიდ გეგმებს, ვიყოთ მხოლოდ მოწინავენი!

პარტიის მოწოდების პასუხად



მხოლოდ მოწინავენი

ვიყოთ მხოლოდ მოწინავენი! ამ დევიზით ჩაებნენ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაში კიროველი ჩარხმშენებლები. პარტიისა და მთავრობის მოწოდების პასუხად მათ გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გასადიდებლად, აგრეთვე სოფლისათვის საშეფო დახმარების გასაძლიერებლად.

კიროვის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა წლეულს გეგმის გადამეტებით მოახდინოს 300 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია, გამოუშვას 20 ზეგეგმითი ჩარხი, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გაუმჯობესებით რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით მიიღოს 350 ათასი მანეთი ეკონომია. შარშანდელთან შედარებით 100 ათასი მანეთით გადიდდება სახალხო მოხმარების საგნების წარმოება, ხარისხის ნიშნის მოსაპოვებლად წარდგენილი იქნება 3 მოდელის მილდამმუშავებელი ჩარხი.

სურათზე. ასეთ მომწოდებელ პლაკატებს დღეს ქარხნის ყველა უბანზე შეხვდებით.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲔ-60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების 1977 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

ქარელის რაიონის სოფელ აბისის კოლმეურნეობა

წარმატებით შეასრულა მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა კოლმეურნეობის კოლექტივმა, ჩაბმული არიან რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში, აქ ვალდებულება იკისრეს 45 ჰექტარიდან თვითეულზე საშუალოდ მოეწიათ არა 305 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, როგორც ეს გეგმით ჰქონდათ გათვალისწინებული, არამედ 350 ცენტნერი, და სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 15.750 ცენტნერი ტკბილი ძირხვენები საგეგმო 13.725 ცენტნერის ნაცვლად. ვალდებულებანი დიდი გადაჭარბებით შესრულდა: სამუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა გაზარდეს 468 ცენტნერამდე, სახელმწიფოს მიჰყიდეს 27.084 ცენტნერი შაქრის ჭარხალი; ამასთან ცენტნერი პროდუქციის თვითღირებულება 0,31 მანეთით შემცირდა.

მაღალი ვალდებულებანი იკისრა მე-4 ბრიგადამ (ბრიგადირი ა. ახალკაცი) მისთვის მიჩენილი ცხრა ჰექტარიდან თვითეულზე საშუალოდ 360 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მიეღო. ფაქტიურად კი აწარმოეს 528 ცენტნერი. ამასთან წარმოების გეგმა 178 პროცენტით გაანაღდეს. ამავე მეურნეობის კოლმეურნემ ს. მინაძემ ვალდებულება იკისრა მისთვის მიჩენილი 0,25 ჰექტარ ფართობზე მიეღო 100 ცენტნერი მოსავალი, რაც ჰექტარზე გაანგარიშებით დაეგმილ მოსავლიანობას 95 ცენტნერით აღემატება. ნაკისრ ვალდებულებას მან ერთიორად და მეტად გადააჭარბა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან ფრთაშესხმულმა კოლმეურნეობამ 1977 წლისათვის გადადებული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრა და გადაწყვიტა:

გაზარდოს შაქრის ჭარხლის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა 550 ცენტნერამდე. მაშინ როდესაც გეგმა 305 ცენტნერს ითვალისწინებს;

მიჰყიდოს სახელმწიფოს 24.750 ცენტნერი შაქრის ჭარხალი გეგმით გათვალისწინებული 13.725 ცენტნერის ნაცვლად;

შეამციროს ცენტნერი პროდუქციის თვითღირებულება 0,35 მანეთით.

ორმა ბრიგადამ — № 1 და № 4 ბრიგადებმა (ბრიგადირები ნ. ლურსმანიშვილი და ა. ახალკაცი) ვალდებულება იკისრეს კიდევ უფრო მეტად — 600 ცენტნერამდე გაზარდონ საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა, ხოლო ცნობილმა მეჭარხლეებმა ტ. ლურსმანიშვილმა, ა. ახალკაცმა, ს. მინაძემ, — გაადიდონ 800 ცენტნერამდე.

ᲚᲘ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ Ა. ᲤᲝᲠᲚᲐᲜᲘᲡ

12 **იანვარს** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **ლ. ი. ბრეჟნევმა** კრემლში მიიღო იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ფორლანი**, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად არის ჩამოსული საბჭოთა კავშირში.

ლ. ი. ბრეჟნევსა და ა. ფორლანის შორის გაიმართა საუბარი, რომელიც საქმიან, მეგობრულ ხასიათს ატარებდა. საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო.**

ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარეობა, სსრ კავშირის ამასწინანდელი ინიციატივების კონსტრუქციული მნიშვნელობა, რომელთა მიზანია ატომური ომის თავიდან აცილება, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, განიარაღების დარგში კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელება, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ხელშეწყობა, ლ. ი. ბრეჟნევმა ა. ფორლანის გააცნო დიდი, აღმშენებლობითი მუშაობა, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ეწევიან ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

სსრ კავშირი-იტალიის ურთიერთობის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ აზრთა გაზიარების დროს დადასტურდა, რომ ორივე ქვეყანა აპირებს გააფართოოს ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში, განამტკიცოს საბჭოთა და იტალიელი ხალხების მეგობრობა. იმსჯელეს აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო დღემნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებზე.

ა. ფორლანიმ იტალიის პრეზიდენტის ჯ. ლეონესა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჯ. ანდრეოტის სახელით დაადასტურა წინანდელი მიწვევა და თქვა, რომ ლ. ი. ბრეჟნევს ოფიციალური ვიზიტით მოელიან იტალიაში. აქვე დაიქვეს განაგრძონ კონტაქტები, რათა შეათანხმონ ვიზიტის ისეთი ვადა, რომელიც ორივე მხარეს მისცემს ხელს.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის ელჩი იტალიაში **ნ. ს. რიეზოვი**, იტალიის ელჩი სსრ კავშირში **ე. ალიუდი** და იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი **რ. მანციანი.** (საკადესი).

ᲚᲘᲢᲥᲕᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ

ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲘ, 12 იანვარი. (საკადესი). რესპუბლიკურმა გამომცემლობამ „მინტისმა“ ლიტვურ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა 55-ტომიანი სრული კრებულის მეორე ტომი. იგი გამოსცა ლიტვის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა.

ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲔ

რუსთავი. დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილი შეჯიბრების ცხარე დღეებია თუჯსამსხმელო ქარხანაში. საერთო საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილების პასუხად ნაკისრია გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებები.

საწარმოს კოლექტივი მეტალურგთა მაგალითისამებრ შრომობს, ამიტომ ყოველ საწარმოო რგოლში მაღალი დისციპლინა და პასუხისმგებლობა. ამის მაჩვენებელია ის, რომ შარშან შრომის ნაყოფიერება საწარმოში 11,6 პროცენტით გაიზარდა.

წლეულს თუჯსამსხმელი ქარხნის სიმძლავრე 30 ათასი ტონით იზრდება, მწყობრშია ახალი საამქრო.

ბ. ჯაბუა.

ᲞᲘᲠᲝᲑᲐ — ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ

ონი. (საკ. კორ.). „გამოვუშვათ მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქცია“, — შეჯიბრების ამ დევიზით გამოეხმაურა პარტიისა და მთავრობის დადგენილებას სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი. აქ ბოლო ხანს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ბევრი ხელით სამუშაო მცირე მექანიზაციამ შეცვალა, რითაც გაიზარდა მკერავის შრომის ნაყოფიერება და ამასთან ამაღლდა გამომშვებული პროდუქციის ხარისხი. ფაბრიკის სამივე საამქრო ჯგუფურ-სექციური მეთოდით კერვაზე გადავიდა, რამაც კარგი ნაყოფი გამოიღო.

12 იანვარი

„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

უპირველეს ვიმუშაოთ, ავამაღლოთ ეფექტიანობა და ხარისხი! — ასეთი საერთო ანშლაგი აქვს გუშინდელი ნომრის პირველ გვერდს.

ახალი საზოგადოებრივი მშენებლობის თითქმის სამოცწლიანი გამოცდილება, თანამედროვე პროგრესის სიმაღლეებისაკენ ხუთწლედის საფეხურებით ჩვენი განუწყვეტელი და სწრაფი სვლა დამაჯერებლად წარმოაჩენს სოციალისტური შეჯიბრების უდიდეს როლს ეკონომიკის განვითარებაში, ადამიანების აღზრდაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილებას ეძღვნება „პრავდის“ მეთაური წერილი — „შეჯიბრებას — ახალი გაქანება“

ახლა ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული პარტიულ ორგანიზაციებზე — წერს გაზეთი, მათ ღრმად უნდა განმარტონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ოვითეულ შრომითს კოლექტივში, განსაზღვრონ დასახული პრაქტიკული განხორციელების კონკრეტული ღონისძიებები.

ამ დღეებში ჩვენი ხალხი აღნიშნავს გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის, აკადემიკოს **სერგეი კოროლიოვის** დაბადების 70-ე წლისთავს. „პრავდის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულია **ი. აპანჩენკოს** წერილი „**ყვავილები — სამუდამოდ**“.

არის „კოროლიოვის გავლენის“ კიდევ ერთი სფერო. — წერს ავტორი, — აქ უფრო ხშირად მის სახელს არ წარმოთქვამენ ხოლმე. ჩვენ უბრალოდ ტელევიზორს ჩავრთავთ და ვუყურებთ გადაცემას პლანეტის მეორე მხარიდან ან ტელეფონით შეეკვეთავთ სახლინს და ხუთი წუთის შემდეგ გვქონდეს ლაპარაკის შესაძლებლობა. გეოლოგები სარგებლობენ ორბიტული სადგურების ბორტიდან გახსნილი რეკიბით. მეტეოროლოგები ინფორმაციას იღებენ თანამგზავრებიდან და განა ცოტა რამეა და კიდევ იქნება ისეთი რამ, რასაც თავისი ძალები და თავისი შრომის წილი მოახმარა სერგი პავლოს-ძე კოროლიოვმა. მან უბრალოდ როდი მისცა დასაწყისი პრაქტიკულ კოსმონავტიკას, ბევრ რაშეში განსაზღვრა მისი განვითარების მთავარი მიმართულებები. გრძელვადიანმა ორბიტულმა სადგურებმა, სატრანსპორტო ხომალდებმა, ბევრმა ამარატმა, რომლებიც პირველნი შეეხნენ სხვა პლანეტათა სწელეთს, უკვე უიმისოდ აღიარეს სტარტი, მაგრამ მას პირდაპირ უდევს წილი ამ სტარტებში.

მოსკოვის თეატრების ახალ დადგმებზე ელაპარაკება მკითხველს **გ. დუბასოვი** წერილში — „**გრძნობათა აღზრდა**“.

„იმ ახალ პიესებში, რომლებიც თეატრების სცენებზე შედარებით ცოტა ხნის წინათ გაჩნდა, ნათქვამია გ. დუბასოვის წერილში, დრამატურგები, მიმართავენ რა თანამედროვე გმირს, ცდილობენ რა შეიცნონ მისი ხასიათი, ბედი, ქცევა, სამართლიანად ფიქრობენ, რომ ყველაფერი, რასაც ხვდება ადამიანი თავის პროფესიულ საქმიანობასა და ყოველდღიურ ყოფაში, საინტერესოა ხელოვნებისათვის.

ПРАВДА

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვ. ლ. მენაბდის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ბიოლოგიის მეცნიერების განვითარებაში გაწეული ღვაწლისათვის და დაბადების ოთხმოცდაერთან დაკავშირებით დაჯილდოდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვლადიმერ ლევანის-ძე **მენაბდე შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1977 წლის 12 იანვარი.

ᲨᲔᲔᲒᲔᲑᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲕ, ᲒᲐᲛᲔᲚ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡ!

მოსკოვიდან 11 იანვარს ჩამოსასვლელი უკანასკნელი თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში ღამის 2 საათსა და 30 წუთზე ჩამოფრინდა. მაგრამ მას განსაკუთრებით ზეიმური შეხვედრა მოუწყეს: დათოვლილი ასაფრენი მინდორი ბრწყინავდა მძლავრი პროჟექტორების სინათლის შუქზე, ათობით ადამიანი ყვავილებით ხელში მოუთმენლად ელოდა ლაინერის გაჩერებას. ამ რეისით ჩამოდიოდა მოსკოვიდან თბილისში ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებელთა დელეგაცია.

თვითმფრინავი ზედ აეროვაგზალს მიადგა. დამხვდურნი მის კიბეს შემოეხვივნენ, არემარე გაანწილეს მიხაკებმა, რომლებიც ამ სუსხიან ღამეს თითქოს სიმბოლოურად გამოხატავდა ციმბირისა და საქართველოს ხელის ჩამორთმევას.

ბამის წარმოგზავნილთა შორის არიან კომკავშირის ირკუტსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ა. ორლოვი**, სკკპ უსტ-კუტის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ი. პანჩუკოვი**, „ანგარმშენის“ სამმართველოს უფროსის მოადგილე **ი. ბარზილოვი**, გაზეთ „იზვესტიის“ აღმოსავლეთციმბირელი კორესპონდენტი **ლ. შინკარიოვი**, ირკუტსკის საოლქო აღმასკომის განყოფილების გამგის მოადგილე **ნ. კარანუბოვი**, სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის „საქმშენბამის“ უფროსი **ა. დვალიშვილი**, სრულიად საკავშირო ალკკ XVII ყრილობის სახელობის კომპლექსური კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი **ვ. რუხაია**, „საქმშენბამის“ კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, ბრიგადირი **ა. ლომიძე.**

სტუმრებს დახვდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ე. შარაბაძე**, საქართველოს კომკავშირის, თბილისელი მშენებლების, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ჩამოსვლისთანავე ვიღებთ ინტერვიუს.

ა. ორლოვი: „მაღლობა საქართველოს ასეთი შესანიშნავი მამულიშვილებისათვის!“

ი. პანჩუკოვი: „პირველი დამკვრელური კომკავშირული რაზმის შემადგენლობაში ქართველი ბიჭებიც იყვნენ. მათ არ გვმტყუნეს და „ფრიადზე“ გაართვეს თავი საქმეს!“

ლ. შინკარიოვი: „ბამი კარგ ხალხს იხდავს. ნია-გრუზინსკაიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა ეს“.

ეკიპაჟის მეთაური, საქართველოს სამოქალაქო აviაციის სამართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მფრინავი **მ. სამსონია:** „ფრენა გაგიჭირდა, დაბალი ღრუბლიანობა გვაბრკოლებდა, მაგრამ განა ბამელებს არ უჭირთ ხოლმე ციმბირში?“

ბამელი სტუმრები საქართველოში 17 იანვრამდე იქნებიან: მათი პროგრამა მრავალფეროვანია: გაეცნობიან თბილისს, მცხეთას, გორს, ბორჯომს, ბაკურიანს, ქუთაისს, გაგრას, ბიჭვინთას. და ყველგან მოელით შეხვედრები ახალგაზრდობასთან, ყველგან ექნებათ მუშაობის გამოცდილების საქმიანი გაზიარება...

შეიგები, საქართველოვ, ბამელ სტუმრებს! (საქინფორმი).

ᲨᲔᲖᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

12 **იანვარს** საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა ბამის მშენებელთა დელეგაციასთან, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით ჩამოვიდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ე. ა. შევარდნაძე** გულთბილად მიესალმა სტუმრებს, მადლობა მოახსენა პარტიის ირკუტსკის საქალაქო კომიტეტს, საოლქო აღმასკომს, კომკავშირის საოლქო კომიტეტს იმისათვის, რომ მზრუნველობას და ყურადღებას არ აკლებენ საქართველოს წარგზავნილთ ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე. მან დაწერილებით გამოიკითხა ბამელთა მუშაობის, ყოფა-ცხოვრების, მომარაგების, კულტურული დასვენების პირობები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ საქმიანობა კიდევ უფრო გაფართოვდეს და განმტკიცდეს საქართველოსა და ბამის მშენებელთა მეგობრობა, კიდევ უფრო განვითარდეს მუშაობის გამოცდილების გაზიარება. ჩვენ მარტო საუკუნის მაგისტრალს კი არ ეაშენებთ, არამედ აქ სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობასაც ვადუღაბებთ, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

კომკავშირის ირკუტსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ა. ი. ორლოვმა**, სკკპ უსტ-კუტის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ი. ა. პანჩუკოვმა**, სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის „საქმშენბამის“ უფროსმა **ა. ვ. დვალიშვილმა**, გაზეთ „იზვესტიის“ საკუთარმა კორესპონდენტმა აღმოსავლეთ ციმბირში **ლ. ი. შინკარიოვმა** მხურვალე მადლობა უთქვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მთავრობას, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს ბამელებზე ზრუნვისათვის, ილაპარაკეს დიდ მუშაობაზე, რომელსაც ამ გმირულ მშენებლობაზე ეწევიან რესპუბლიკას ახალგაზრდა წარგზავნილნი.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **გ. ვ. კოლბანი**, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ჟ. კ. შარაბაძე.** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე **გ. ა. ანდრონიკაშვილი.**

(საქინფორმი).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲬᲛᲔᲜᲐ, ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘ!

ᲒᲣᲐᲗᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ პირველი წელი ისტორიის საკუთრება გახდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მშრომელებმა საიმედო საფუძველი ჩაუყარეს ამ ხუთწლეულს. მეამაყება ჩვენი რეპუბლიკის მშრომელთა საქმიანობას მაღალი შეფასება სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა რომ მისცა, ხოლო საქართველოს მუშათა კლასი, რომლის რიგითი წევრი მეც ვარ, თავდადებით რომ ჩაება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

გაგრის ავტოსატრანსპორტო გაერთიანება, სადაც მძღოლად ვმუშაობ, აჯამებს გაწეული მუშაობის შედეგებს, თუ რა გავაკეთეთ მშობლიური პარტიის მოწოდებათა პასუხად. ის ამბავი, რომ ჩვენი გაერთიანების 600 მუშა კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელს ატარებს, 110 კაცი დროს უსწრებს და ჩვენმა კოლექტივმა 25 ოქტომბრისათვის წლიური დავალება შეასრულა, ბევრს მოქმელია.

ომგადახდილი ჯარისკაცი ვარ და კარგად მესმის, თუ რას ნიშნავს, როცა გვერდით საიმედო თანამესაგრე ყაკეს და შენც იცი საკუთარი ადგილი იქ, სადაც საქვეყნო საქმე წყდება, იცნობ კონკრეტულ ამოცანას, რომლის გადაჭრასაც შენგან მოითხოვენ. ამ მხრივ ისიც მეამაყება, რომ ჩემი მშობლიური ქალაქ-კურორტის სამრეწველო საწარმოები სახელოვნად შეხვდნენ 1977 წელს!

სამშობლოს უმაღლესი ჯილდო რომ გადასცეს, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „წინათ იყო ასეთი ანდაზა: ყოველი კაცი თავისი ბედნიერების მქედელიაო. ვფიქრობ, რომ ეს ანდაზა ახლაც გამოდგება. ქვეყნის განვითარებისა და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების გაბედული და ზორს გამიზნული გეგმების განხორციელება თვით საბჭოთა ხალხის, ქალაქისა და სოფლის ათეულ მილიონობით მშრომელის ხელშია. პარტიის მიერ დასახული დიდი მიზნების მიღწევა იმაზეა დამოკიდებული კონკრეტული საქმეებით დაუჭერენ თუ არა ახლანი მხარს პარტიის პოლიტიკას, შესწევთ თუ არა უნარი დღეს გუშინდელზე უკეთ, ხვალ კი დღევანდელზე უკეთ იმუშაონ“.

დიახ, თუ პარტიის მიერ დასახული ამოცანას კეთილსინდისიერად ასრულებ, ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხის კეთილდღეობისათვის იღვწი, საკუთარი ბედის მჭედელი ხარ!

რუსთაველმა მეფოლადეებმა რომ მოგვწოდეს — არცერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო გვერდით არ გავიჭანთონო, და ეს თარსონობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა, ამით პარტიამ გარკვეული ამოცანა დაგვისახა. პირადად მე, ჩემი მუშური გაგებით ასე აღვიქვი ეს პატრიოტული მოწოდება: ჩემი მუშური ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებას აშკარად ეტყობა სიკეთე, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის სოციალური განვითარებისათვის უკანასკნელ პერიოდში წარმოებული მუშაობის უშუალო შედეგია, იმ მორალური კლიმატის შედეგია, რასაც ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობთ... მაშასადამე, პარტიის ასეთ მზრუნველობას სრულყოფილი უკუგებით რომ ვუპასუხო, არ კმარა მარტო თვითონ ვიყო მოწინავე, არამედ ჩემს გვერდით მდგომიც უნდა გავიყოლიო.

ასე მგონია: თანამოსაქმის ჩამორჩენისადმი შერიგება იგივეა, რომ დაჭრილი თანამესაგრე უყურადღებოდ მიატოვო! უდისციპლინოებისადმი წყალობა კი დანაშაულია!

ამასწინათ შვებულებაში ვიყავი და თავისუფალი დრო იმ ადგილების დათვალიერებას მოვანდომე, სადაც სამამულო ომის დღეები გამტარებია, სადაც ლუკმა-პურს ვუნაწილებდით ერთმანეთს რუსი და ქართველი, აფაზი და უკრაინელი... და სწორედ იმ ადგილზე, სადაც ერთ დროს ფრონტის ხაზი გადიოდა, ახლა საკოლმეურნეო ბაზარი გაეშენებინათ, ამ ბაზარში საქართველოდან ჩამოტანილ მანდარინს რომ მოვკარი თვალი, პირველად მეამა — ჩვენი მადლიანი მიწის ნაყოფს შორეული, მაგრამ ჩემთვის ძვირფასი ქალაქის ბაზარი დაუმშვენებიათ-მეთქი! მაგრამ ეს სიამე სინანულად გადამექცა, როცა დავრწმუნდი ამ მანდარინს მამასისხლად რომ ჰყიდდა კაცი, რომელსაც იოლი გამდიდრების ინტერესები ყველაფერზე მაღლა დაუყენებია. ჯერ შემრცხვა, მერე კი აღშფოთდი.

— ხუთი მანეთი ძვირია შვილო!

— თუ გეძვირება, ნუ იყიდი!

ასე უტიფრად ეპაექრებოდა მოხუც ქალს ჩვენი ულირსი თანამემულე, ამან მაიძულა ბაზრის ადმინისტრაციის დახმარებით ამელაგმა მისი თავხედობა.

„გეძვირება და ნუ იყიდი“, — ახლაც ჩამესმის ყურში იმ კაცის სიტყვები და მეც მაგონდება ძველი ანდაზა: სხვის უბედურებაზე საკუთარი ბედნიერების აშენება — უნამუსობაა! უნამუსობას კი ჩვენს რიგებში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ!

ასეთ სურათს სხვაგანაც წავაწყდი და ყოველივე იმან, რაც საკუთარი თვალით ვნახე, კალამი ამაღებინა და მინდა ჩემს თანამოსაქმეებს — ავტოტრანსპორტის მუშაკებსა და ყოველ მშრომელს ჩემი ფიქრი და გულისტკივილი გავუზიარო.

გულისტკივილით ვეცნობი პრესაში გამოქვეყნებულ წერილებს იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ცენტრუსებისა და საერთოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სასპეციალიზაციოდ გატანას, ქორავაჭრებისა და მომხვეჭელთა პარაზს, ტრანსპორტის ზოგერთი უღირსი მუშაკი უწყობს ხელს. ბევრ მათგანს არ ეთაკილება სპეციალური სამალავები დაამონტაჟოს იმისათვის, რომ ხასპეციალიზაციოდ გამიზნული ტვირთი გადაიტანოს...

ჩვენზე, ავტოტრანსპორტისა და საერთოდ ტრანსპორტის მუშაკებზე ამჟამად დიდად არის დამოკიდებული გზა გადავუღოთ ბოროტმოქმედებს, რომლებიც იოლი გამდიდრების სურვილს დაუბრმავებია! უნდა გვახსოვდეს, რომ სასპეციალიზაციოდ გამიზნული ყოველი კილოგრამი ტვირთი მძიმე ტვირთად აწევს ჩვენს მუშურ სინდისს... ამიტომაც არ კმარა მარტო შენ იყო უმწიკვლო. საჭიროა თანამოსაქმეც გაავდეს პატიოსანი. მომხვეჭელთა რეისის მონაწილეს რომ გადაეკრები, გზა გადაუღობე, გზა, რომელიც ბოროტმოქმედებისაკენ მიდის.

ახალ წელიწადს კვლავაც მუშური შემართებით, რწმენით, სინდისით მოვკიდოთ ხელი, მეგობრებო, ჩვენთვის მოცემულ საბრძოლო დავალებას, რომელიც რუსთაველმა მეფოლადეებმა შესანიშნავად გამოხატეს მოწოდებაში — „არცერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენ გვერდით!“

ᲘᲐᲡᲝᲜ ᲙᲝᲙᲝᲡᲙᲘᲠᲘᲐ,

საბჭოთა კავშირის გმირი, გაგრის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების ნძღოლი.

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲓᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲐᲠᲬᲣᲐᲜ ნოემბერში თბილისში გაიმართა რესპუბლიკათაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა განვითარებული სოციალიზმის პერიოდში სახალხო მეურნეობის რეგიონალური დაგეგმვის საკითხებს. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო ძალთა განლაგების პრობლემური სამეცნიერო საბჭო, ამერიკავკასიის ეკონომიური რაიონის საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების შემსწავლელი სამეცნიერო საბჭო, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, ლენინგრადის, როსტოვის, ხარკოვის, მინსკის, ტაშკენტის, რიგის, ვილნიუსის, ტალინის, ფრუნზეს, დუშანბეს, ბაკოს, ერევნისა და სხვა ქალაქების სწავლულმა ეკონომისტებმა. 2 პლენარულ და 4 სექციურ სხდომებზე მოისმინეს და განიხილეს 130-ზე მეტი მოხსენება და გამოსვლა, რომლებიც განსახილველი რთული პრობლემის მრავალ ასპექტს აშუქებდნენ. მიიღეს სათანადო რეკომენდაციები რეგიონალური დაგეგმვის თეორიის, მეთოდიკის და პრაქტიკის შემდგომი სრულყოფის მიმართულებათა თაობაზე. განხილულ საკითხთა წრეში ჯეროვანი ადგილი უჭირავს პარტიის თანამედროვე ეკონომიური სტრატეგიის საერთო-საკავშირო და რეგიონალური ასპექტების განსაზღვრას, მათი ნიშან-თვისებების დახასიათებას.

მკითხველს ვთავაზობთ ამ თემაზე პროფ. ვ. მელქაძის სტატიას.

1. ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲐᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ

ᲒᲐᲚᲔ ორმოცდაათი წელი შესრულდება პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელების დაწყებიდან. თითქმის ნახევარი საუკუნეა მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარება, მისი წინსვლის მძლავრი ნაბიჯები ხუთწლედებით განიზომება. ყოველი ახალი ხუთწლედი — ახალი დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია ჩვენი დიადი საშობლოს ისტორიაში. თუმცა ყოველ მათგანს თავისი დროის განუმეორებელი ნიშნები ახასიათებს, ისინი მაინც განუყოფელი ერთმანეთისაგან. ამიტომაც ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეს საუკეთესო თავები ერთი დიდი წიგნისა, რომელშიც სოციალიზმისა და კომუნიზმის საკეთილდღეოდ ჩვენი ხალხის გმირულ შრომაზეა საუბარი“.

განვლილი ცხრა ხუთწლედი ეს იყო განვითარებული სოციალისტური საზოგადოებისაკენ, კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის მიზანმიმართული, მტკიცე წინსვლის წლები. როგორც აღინიშნა პარტიის XXV ყრილობაზე, ჩვენ შევქმენით ახალი საზოგადოება, საზოგადოება, რომლის მსგავსიც კაცობრიობას არ ახსოვს. ეკონომიკის თვალსაზრისით ეს არის უკრიზისო, მუდამ მზარდი სახალხო მეურნეობის, მომწიფებული სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის საზოგადოება. პოლიტიკური თვალსაზრისით ეს არის ექსპლოატაციისაგან თავისუფალი, კომუნიზმის მშენებელი ორი მეგობარი კლასისა და სუვერენული ერების განუხრელი თანამშრომლობა. იდეოლოგიური თვალსაზრისით ეს არის საზოგადოება, სადაც გაბატონებულია მეცნიერული მატერიალისტური მსოფლმხედველობა, მომავლის, ნათელი კომუნისტური პერსპექტივებისადმი მტკიცე რწმენის საზოგადოება. ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი პარტია ძლიერია თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ხელმძღვანელობის სისწორით, თავისი პოლიტიკური და ეკონომიური სტრატეგიისა და ტაქტიკის სისწორით. როგორც ცნობილია, ლენინიზმის სტრატეგია და ტაქტიკა წარმოადგენს მეცნიერებას პროლეტარიატის საბოლოო მიზნის მისაღწევად პარტიისა და მშრომელთა ბრძოლის ხელმძღვანელობის ხელოვნების შესახებ. ხელმძღვანელობის სტრატეგიული გეზი განისაზღვრება მოძრაობის ცოტად თუ ბევრად გრძელვადიანი პეროდისათვის შექმნილი ვითარების, მიზნისკენ წინსვლის რეზერვების გათვალისწინებით. ბრძოლის ტაქტიკური ხაზი, მისი ფორმები და მეთოდები, ნავარაუდევია სტრატეგიული პერიოდის შიგნით უფრო ხანმოკლე პერიოდისათვის, ძალთა მოზღვავების თუ უკუქცევის ვითარების საფუძველზე.

პარტიის ეკონომიური სტრატეგია საერთო პოლიტიკური სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია. კაპიტალიზმის დამხობის შემდეგ ეკონომიური მშენებლობის ხელმძღვანელობა საერთო პოლიტიკური სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, გარკვეული აზრით — მისი საფუძველია.

სკკპ თანამედროვე სტრატეგია განკუთვნილია განვითარებული სოციალიზმის ეტაპის ეკონომიკის კომუნიზმის უმაღლესი ფაზის ეკონომიკად გადაზრდისათვის. ამ სტრატეგიული ეტაპისათვის დამახასიათებელი ეკონომიური სიტუაციისა და ზრდის რეზერვების თავისებურებათა საფუძველზე შემუშავდა ტაქტიკური ხაზი, რაც მოასწავებს სამეურნეო მშენებლობის გადამწყვეტი უბნებისა და დარგების, წამყვანი რგოლის წინ წამოწევას, ვითარების შესაბამისი ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების დამკვიდრებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ მეცნიერულად შეაფასა ჩვენი ქვეყნის და მისი ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპის თავისებურებანი, დასახა ფართო პერიზონტი კომუნიზმის უმაღლესი ფაზისაკენ მიმავალ გზაზე.

ყრილობის მასალებში მართებულად აისახა იმ ისტორიული ხანის თავისებურებანი, რომელშიც საბჭოთა საზოგადოება ვითარდება, იმ ამოცანებისა და პრობლემების თავისებურება, რომელიც ცხოვრებამ დაგვისახა. ამ ნიშანთვისებათა და თავისებურებათა მართებული გაგება საშუალებას მოგვცემს გაირკვეს თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა ეკონომიკის განვითარების ობიექტური კანონზომიერებანი და ტენდენციები, მხედველობაში მივიღოთ ისინი წარმოების მართვის სრულყოფის დიდი და მცირე ამოცანების გადაწყვეტისას.

საბოლოო მიზნის — კომუნიზმის უმაღლესი ფაზის აშენების მისაღწევად ლენინური პარტია ყოველ ახალ ეტაპზე განსაზღვრავს ძირეულ ამოცანებს, შეიმუშავებს მოქმედების გეზს, განვითარების ძირითად მიმართულებებს დროის ხანგრძლივი მონაკვეთისათვის.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს ვ. ი. ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ „არ შეიძლება ისე მუშაობა, თუ არა გვაქვს ხანგრძლივი პერიოდისთვის და სერიოზული წარმატებებისათვის ნავარაუდევი გეგმა“, თუ არ განვსაზღვრავთ „ჩვენი მუშაობის, ჩვენი პოლიტიკის, ჩვენი ტაქტიკისა და სტრატეგიის საერთო გეგმას“.

შემთხვევითი როდია, რომ მეათე ხუთწლიანი გეგმა მზადდებოდა 15-წლიანი გრძელვადიანი პერიოდისათვის ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ამოსავალ დებულებათა შემუშავებასთან ერთად.

ხანგრძლივი პერიოდისათვის და სერიოზული წარმატებებისათვის ნავარაუდევი გეგმის შედგენისას ჩვენი პარტია ეყრდნობოდა და ეყრდნობა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების შესახებ, საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა მიღწეული დონის საბჭოთა ხელისუფლების თოთქმის ნახევარსუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის ამგვარი ზრდის პირობებში შეუდარებლად იზრდება მატების თვითეული პროცენტის წონა. თუ მერე ხუთწლედში ეროვნული შემოსავლის მატების ერთი პროცენტი 2 მილიარდ მანეთს შეადგენდა, მიმდინარე ხუთწლედში იგი 3,6 მილიარდ მანეთამდე ანუ 1,8-ჯერ იზრდება. დადგენილია ისიც, რომ მომავალ 15 წლიან პერიოდში ქვეყანას ექნება დაახლოებით ერთიორად მეტი მატერიალური და ფინანსური რესურსები, ვიდრე განვლილ ხუთშემტწლეულში.

განვითარებული სოციალიზმის პერიოდში პარტიის ეკონომიური სტრატეგიის დამახასიათებელი ნიშანთვისებაა ეკონომიკის კიდევ უფრო ღრმა შემობრუნება იმ ამოცანების გადაწყვეტისაკენ, რომლებიც დაკავშირებულია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებასთან. მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის პრაქტიკაში ასეთი შემობრუნება დაკავშირებულია ძირითადი სახალხო მეურნეობიერი პროპორციების შეცვლასთან. კერძოდ, საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფების ზრდის ტემპების დაგეგმვისადმი ნოვატორულ მიდგომასთან, წარმოებით და არაწარმოებით სფეროებს შორის შრომითი რესურსების ოპტიმალურ განაწილებასთან და ა. შ..

ხუთწლედის დასახული მიზნის მიღწევის საშუალებად მიჩნეულია საზოგადოებრივი წარმოების ზრდა და სრულყოფა.

თანამედროვე ეკონომიური სტრატეგიის თავისებურება ის არის, რომ მიზნის მიღწევის საშუალებად იგი სახავს ქვეყნის ეკონომიური ძლიერების შემდგომ ზრდას, ძირითად საწარმოო ფონდების ძირფესვიანად განახლებას, მძიმე მრეწველობის — ეკონომიკის საძირკვლის — მყარ, თანდ მიმართულებებს. პარტიის ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების დარგში დასახულმა სტრატეგიულმა გეზმა და ტაქტიკურმა ხაზმა ნათელი გამოხატულება პპოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უკანასკნელი სესიის მიერ დამტკიცებულ 1976-1980 წლების ხუთწლიან გეგმაში.

მეათე ხუთწლედის ყველაზე დამახასიათებელი თავისებურებაა მისი უზარმაზარი მასშტაბი, ეს ჩეშმარიტად დიდ ეკონომიურ შესაძლებლობათა ხუთწლედია. ხუთწლედში კაპიტალურ დაბანდებებს მოხმარდება 621 მილიარდ მანეთზე მეტი. მატერიალური წარმოების უმთავრესი დარგის — მრეწველობის პროდუქცია 36 პროცენტით გადიდდება. გეგმით დასახულია სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება 16 პროცენტით გაიზრდოს. გეგმა ითვალისწინებს მუშა-მოსამსახურეთა საშუალო-თვიური ხელფასის გაზრდას 170 მანეთამდე; ხელფასი მოემატება არასაწარმოო დარგების 31 მილიონ მუშაკს; ხუთწლედის დამლევთისათვის ოჯახის ერთ-ერთ თვეში 100 მანეთზე მეტი შემოსავალი ექნება მოსახლეობის ნახევარს. ჩვენი ეკონომიკის განვითარების სოციალური მიმართულების გაძლიერებას კარგად ასახავს ის ფაქტი, რომ გამოყენებულ ეროვნულ შემოსავალში მოხმარების ფონდის წილი ხუთწლედში 75 პროცენტამდე ამაღლდება. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით რეალური შემოსავალი 24 პროცენტით გაიზრდება.

მეათე ხუთწლედში დასახულ სოციალურ-ეკონომიური პროგრამის საფუძველია რეალურად გათვალისწინებული რესურსები და შესაძლებლობები. ჩვენს ქვეყანას არასოდეს არ ჰქონია ასეთი ძლიერი ეკონომიური და მეცნიერული პოტენციალი, არ ჰყოლია კვალიფიციური კადრების ასეთი უზარმაზარი ბრიგადა. და, როგორც ეს აღინიშნა სკკპ XXV ყრილობაზე, ჩვენ ჯერ არ დავყრდნობივართ პარტიის მიერ შემოქმედებითად გაანზრებულ და განზოგადებულ სამეურნეო მშენებლობის ასეთ მდიდარ გამოცდილებას.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელმაც ყოველივე ამას უწოდა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის გმირული მეცადინეობით შექმნილი ფასდაუდებელი კაპიტალი — ყრილობის ტრიბუნიდან მოგვიწოდა უფრო სრულად გამოვიყენოთ ახალი გიგანტური შესაძლებლობანი.

ყოველგვარი სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტა, როცა განსაზღვრულია მიზნი და მისი მიღწევის საშუალებები, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია საქმის ორგანიზაციაზე. პარტიის XXV ყრილობამ უდიდესი ყურადღება დაუთმო ეკონომიკის მართვისა და დაგეგმვის სრულყოფას, რაც გულისხმობს ძალების, მატერიალურ და ფინანსური რესურსების კონცენტრაციას უმნიშვნელოვანესი საერთო-საკავშირო პროგრამების შესასრულებლად, დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვის უნარიან შეხამებას, ყველა დარგის შეწონასწორებულ განვითარებას.

დღეს საბჭოთა ეკონომიკამ ისეთ დონეს მიაღწია და ისეთი მასშტაბი შეიძინა, რომ მაღალეფექტიანი, მაღალორგანიზებული შრომა, საუკეთესო ხარისხის ნაწარმზე ადამიანთა მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ისევე, როგორც წარმოების პროცესში უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენება, გეგმაზომიერი წინსვლის ყველაზე დიდმნიშვნელოვან პირობად გადაიქცა.

ლენინური პარტიის ოქტომბრის პლენუმზე საგანგებო ყურადღება დაეთმო სამეურნეო მშენებლობის ამოცანათა წარმატებით გადაჭრის ყველაზე ეფექტიანი ტაქტიკის შემუშავების აუცილებლობას. გამოვლინდა და გამოიკვეთა მუშაობის გადამწყვეტი უბნები, გამოიყო ხუთწლიანი და წლიური გეგმების ის საკვანძო პრობლემები, რომლებსაც საგანგებო ყურადღება უნდა დაუთმონ პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

პარტიის ეკონომიური სტრატეგიის მოთხოვნა—წარმოების ინტენსიფიკაციის გზით მისი ეფექტიანობის ამაღლება, მუშობის ყოველ უბანზე ხარისხის ამაღლება — სხვადასხვანაირად ხორციელდება მუშობის სხვადასხვა უბანზე. ყოველ დარგსა და უბანს სტრატეგიული მიზნის შესრულების საკუთარი რეზერვები და დამატებითი შესაძლებლობა აქვს. მათი გამოვლენა და გამოყენება ეკონომიური ტაქტიკის პირველი რიგის ამოცანაა. ეს კი გულისხმობს ეკონომიური მუშობის ყველა ფორმის გააქტიურებას, მისი დონის მკვეთრ ამაღლებას, ქმედითობის გაძლიერებას. სწორედ ამიტომ, როგორც ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე, „ჩვენი ეკონომიური აზროვნება მაქსიმალურად კონკრეტული უნდა იყოს“.

თანამედროვე ეკონომიური ტაქტიკის, ქვეყნის ეკონომიკის ყველა სექტორის პროპორციულად დაბალანსებული ზრდისათვის ზრუნვის თვალსაჩინო ნიმუშია ღონისძიებათა სისტემა ჩვენი ეკონომიკის აგრარული სექტორის ყველაზე თანამედროვე დონემდე ამაღლებისათვის.

პარტიის ეკონომიური სტრატეგიისა და ტაქტიკის მნიშვნელოვანი გამოხატულებაა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ხატოვანი ფორმულა — ჩვენი ხუთწლედი ხალხთა მეგობრობის პოლიტიკაა, ასახული ეკონომიკის ენით.

Ვ. ᲛᲔᲚᲥᲐᲫᲔ,

პროფესორი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲨᲘ

ᲙᲐᲠᲒᲘ ტრადიცია დამკვიდრდა — რესპუბლიკის ცალკეული რაიონების მშრომელები დროდადრო კოლექტიურად იწვევენ ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალს და აქ უპატაჟებენ სამშობლოს სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა განსახორციელებად გაწეულ მუშაობაზე, იმაზე, თუ როგორ ასრულებენ მეათე — ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედის დასახულ ამოცანებს.

ამჯერად, წელს, ფილიალის პირველი სტუმრები არიან ცხაკაიას რაიონის მშრომელები, უმთავრესად ახალგაზრდა კომუნისტები, სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები, მათ შორის კომუნისტური შრომის მოწინავენი — „საქსოფლტექნიკის“ ცხაკაიას გაწყოფილების კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ჯ. ხუნწარია, ცხაკაიას ხალიჩების საქსოვი კომბინატის მრთველები ნ. ქვარცხავა და ნ. ბერიძე, გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი რ. კუპრეიშვილი, ზანის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ე. ტყვეხრაკა, ტეხურის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი თ. წულაია, უშფათის ორკონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი ო. ხუნწარია და სხვები, სულ ასი კაცი, რომელთაც ხელმძღვანელობს საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი ვ. ესვანჯია. ესენი არიან პარტიის ცხაკაიას რაიკომთან არსებული ახალგაზრდა კომუნისტთა სწავლების რაიონული სკოლის მსმენელები, ის ადამიანები, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ რაიონის შრომითს წარმატებებში და ეს-ეს არის იღებენ პირველ პარტიულ წრთობას.

ისინი ჩამოვიდნენ პარტიული სკოლის მორიგ მეცადინეობაზე, რომელიც მიეძღვნა თემას „ლენინური პარტიული ბილეთის ისტორია“. და აი მსმენელები გულდასმით თვალიერებენ მუზეუმის ექსპონატებს, ბევრი მათგანი აქ პირველად მოვიდა და ეცნობა ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მასალებს, რომელზეც საინტერესოდ ესაუბრებიან ფილიალის ლექტორები მ. ცხვედიანი და ი. ნიგურიანი. ფილიალში სტუმრები გაეცნენ ლენინის სამუშაო კაბინეტს, ნახეს ნივთები, რომლებთაც ლენინი სარგებლობდა რაზოლივი, მოისმინეს გრამფირფიტებზე ჩაწერილი ბელადის ხმა, ნახეს დოკუმენტური კინოსურათი „ცოცხალი ლენინი“. დამსწრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილმა გამოფენამ.

— ამ მუზეუმში პირველად ვარ, — გვეუბნება წითელი დროშის ორდენოსანი ფეიქარი ნ. ბერიძე. — ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ექსპონატებმა, რომლებიც ასე ნათლად ასახავენ კაცობრიობის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. როგორ სათუთად, გულმოდგინედ შეურჩევიათ და განუკეთებიათ ექსპონატები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენისათვის. ეს მეცადინეობა ჩვენ, ახალგაზრდებს, კიდევ მეტ ენერგიულ მოგვცემს შემდგომი წარმატებული შრომისათვის, რომ ღირსეულად ვიდგეთ პარტიის ჯარისკაცთა რიგებში. პირადად მე მეცხრე ხუთწლედის დავალება 3,5 წელიწადში შევასრულე, მეათე ხუთწლედის პირველი წელი 143 პროცენტით გავანაღდე, ენერგიას არ ვზოგავ ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

და აი სხდომათა დარბაზში დაიწყო მორიგი მეცადინეობა. სკკპ-ის ხელმძღვანელმა ამხ. ვ. ესვანჯიამ თქვა, რომ დღეს აქ დიდაქალაქში ჩამოსულის პატივი ერგოთ მოწინავეთა შორის საუკეთესოებს — მეჩაიეებს, მეცხოველეებს, მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკებს, მშენებლებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს, მომსახურების სფეროში დასაქმებულ ადამიანებს.

მეცადინეობაზე სიტყვა წარმოთქვეს სკკპ წევრმა 1917 წლიდან დ. ლომაძემ, რაიონის სამეცნიერო გაერთიანების ექიმმა მ. ტორჩინავამ, ხორმის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მოწინავე მეჩაიე-მექანიზატორმა ე. გაბეჩავამ და სხვებმა. მათ ერთმანეთს გაუზიარეს ნახული და განცდილი — დღევანდელი დღე დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის, — აღნიშნეს სიტყვებით გამოსულმა ახალგაზრდა კომუნისტებმა. ისინი აქ, ამ წმიდათაწმიდა დარბაზში, ჰყვებიან თავიანთ საქმიანობაზე, თავიანთი თანატოლების ცხოვრებასა და შრომაზე და ფიცს დებენ, რომ უკეთ იმუშავებენ, ენერგიულად იშრომებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილში დაყენებული ამოცანებისა და პარტიის დიად წინასწარდასახულობათა წარმატებით განსახორციელებლად.

მსმენელებს თემაზე „მუშაობის ლენინური სტილი“ ესაუბრა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი ფ. მახარაძე.

ცხაკაიელმა ახალგაზრდა კომუნისტებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, გვირგვინებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი, ეწვივნენ და გაეცნენ ავლაბრის ყოფილ არალეგალურ სტამბას.

Ე. ᲛᲐᲛᲐᲚᲐᲫᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ: ახალგაზრდა კომუნისტთა სწავლების ცხაკაიას რაიონული სკოლის მორიგი მეცადინეობა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში.

გ. ᲙᲘᲙᲕᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ Უ�პᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცხინვალის რაიკომმა, გვაცნობა, რომ

12 გვერდი

ფაქტი, პრობლემები

საერთაშორისო პანორამა

საკადრისი და უცხოეთის ქრონიკის საკვანძო ინფორმაციები

ფასი 4 კაპ.

სსრ კავშირი — იტალია

თანამშრომლობა ვითარდება

რომი. (საკადესი). ფართოვდება და მტკიცდება იტალიისა და სსრ კავშირის თანამშრომლობა, რომელსაც საფუძვლად უდევს სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები. პოლიტიკურ დარგში იგი ვითარდება კონსულტაციების შესახებ საბჭოთა კავშირ-იტალიის ოქმის საფუძველზე, რომელსაც ორი ქვეყნის მთავრობათა მეთაურებმა მოაწერეს ხელი 1972 წელს. მისი მთავარი შინაარსი ის არის, რომ საბჭოთა კავშირ-იტალიის თანამშრომლობა სცდება წმინდა ორმხრივი გაცვლის ფარგლებს და აგრეთვე ითვალისწინებს ევროპისა და მთელი მსოფლიოსათვის დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების განხილვას. კონსულტაციათა ფარგლებში პრაქტიკულად დამკვიდრდა საგარეო საქმეთა მინისტრების ვიზიტების გაცვლა.

იტალია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ახლანდელი ფაზის დამახასიათებელი ნიშანია, განაცხადა საკადესის კორესპონდენტთან საუბარში სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ფ. კალამანდრეიმ, ჩვენი ქვეყნის პასუხისმგებლობა და გავლენიანმა წრეებმა ცნონის ფაქტი, რომ სსრ კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცება არა მარტო მშვიდობისმოყვარული და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის განხორციელების აუცილებელი პირობაა, არამედ იმის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი წანამძღვარიც არის, რომ იტალიამ დაძლიოს ეკონომიური კრიზისი.

წარმატებით ვითარდება აგრეთვე ორი ქვეყნის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა. მას საფუძვლად უდევს სსრ კავშირისა და იტალიის 1975-1979 წლების ეკონომიური თანამშრომლობის შეთანხმება. საქონლებრუნვა საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის უკანასკნელი 10 წლის მანძილზე თითქმის 6-ჯერ გაიზარდა. მარტო შარშან იგი 20 პროცენტით და მეტად გადიდდა. ორი ქვეყნის თანამშრომლობა კომპენსაციურ შეთანხმებათა საფუძველზე შენდება, რაც განამტკიცებს საბჭოთა ორგანიზაციებისა და იტალიის მსხვილი კომპანიების — „ენის“, „მონტედისონის“, „ფიატის“, „პირელის“ და სხვა კომპანიების საქმიან ურთიერთობას.

მტკიცდება თანამშრომლობა კულტურის დარგშიც. დიდი წარმატებით ჩაიარა 1976 წელს საბჭოთა კავშირის დღეებმა სარდინიაში, რომელიც „იტალია-სსრ კავშირისა და „სსრ კავშირ-იტალიის“ საზოგადოებათა ინიციატივით მოეწყო. წელს გათვალისწინებულია მოეწყოს საბჭოთა კავშირის დღეები ვენეციის ოლქში.

ოპოზიციის მოთხოვნა

მადრიდი. (საკადესი). აქ გაიმართა ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარის ადოლფო სუარეზ გონსალესისა და დემოკრატიული ოპოზიციის წარმომადგენელთა ჯგუფის პირველი ოფიციალური შეხვედრა.

გამოქვეყნებულ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ შეხვედრამ დაახლოებით სამი საათი გასტანა და მიმდინარეობდა ურთიერთგაგების ვითარებაში. ოპოზიციის წარმომადგენლებმა მთავრობის თავმჯდომარეს გააცნეს ყველა ოპოზიციური პარტიის აზრი ისეთ საკითხებზე, როგორიცაა უღიტარმინაციოდ პოლიტიკური პარტიების ლეგალიზაცია და უკლებლივ ყველა პოლიტიკური პატიმრის ამნისტია.

ახალი პანამისათვის

პანამა. (საკადესი). ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნა ქვეყნის პროგრესული ძალების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მიმდინარე წელს, განაცხადა პანამის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა რუბენ დარიო სოუსამ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს აუცილებელია მასების შეგნებისა და მათი ორგანიზებულობის ასამაღლებლად, პროგრესული გარდაქმნებისა და დამოუკიდებელი განვითარების გზით რესპუბლიკის შემდგომი წინსვლის უზრუნველსაყოფად.

1976 წელს, თქვა პანამელ კომუნისტთა ხელმძღვანელმა საკადესის კორესპონდენტთან საუბარში, დიდი მუშაობა იყო გაწეული ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში, მისი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში მომხდარი დადებითი ცვლილებების განსამტკიცებლად.

საგარეო პოლიტიკის დარგში პანამის სახალხო პარტია კვლავინდებურად დაიცავს პანამის პრინციპულ პოზიციას რესპუბლიკის სუვერენიტეტის სრული აღდგენის თაობაზე ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკების დროს.

დაგმეს რეაქციული წრეები

კაირო. (საკადესი). ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ეროვნულ-პროგრესულმა პარტიამ, (არაბთა სოციალისტური კავშირის ყოფილმა მემარცხენე ორგანიზაციამ) გააკეთა განცხადება, რომელშიც დაგმო რეაქციული წრეები, რომლებიც ცდილობენ ჩირქი მოსცხონ განსვენებულ პრეზიდენტს გ. ა. ნასერს, ჩრდილი მიაყენონ მისი ხელმძღვანელობით განხორციელებულ პროგრესულ სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნებს.

ფსიქოლოგიური ომის სპეციალისტების აზრით, ნასერზე თავდასხმები კარგ შესაძლებლობას იძლევა საზოგადოებრივი აზრის დასამუშავებლად, რათა დაარწმუნონ იგი, რომ რევოლუციის ისეთი მონაპოვრები, როგორიცაა ინგლისელების გაძევება, სუეცის არხის ნაციონალიზაცია, ინდუსტრიალიზაცია, ეკონომიური სტრუქტურის შეცვლა, — ყოველივე ეს „ვერცხლმანების“.

პროპაგანდისტული კამპანია გაფართოვდა და ყოველი რევოლუციისათვის დამახასიათებელი უარყოფითი მომენტების „რეკლამირებიდან“ ფაქტების აშკარა ფალსიფიკაციაზე გადავიდა. ოფიციალურმა პირებმა, რომლებმაც მონარქიული რეჟიმის მომხრეებს, ჯაშუშებს და ამერიკის შეერთებული შტატების დამქაშებს პრესაში თავიანთი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა მისცეს, ამით გარეშე მეთვალყურეთა პოზიცია დაიკავეს.

კამპანიის მიზანი ის არის, რომ ხალხს შეურყიოს თავისი ძალების რწმენა, ნიადაგი მოუმზადოს „კაპიტალის ძალა-უფლების დაბრუნებას.

კამპანია სხვა მიზანსაც ისახავს — ჩამოაშოროს ყურადღება იმას, რაც ახლა ხდება, ნასერს დაკისროს ხალხის ცხოვრების ახლანდელი დაქვეითებისათვის პასუხისმგებლობა.

ჩვენ, ხაზგასმულია მემარცხენე პარტიის განცხადებაში, აზრის თავისუფლების წინააღმდეგი არა ვართ, მაგრამ იმის წინააღმდეგი კი ვართ, რომ ეს თავისუფლება კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის გამოიყენონ და პროგრესისა და ბედნიერი ცხოვრების იმედი გაუცრუონ ხალხს.

ეგვიპტის პროგრესული პარტიის განცხადება

□

ფოტოინფორმაცია





ლათინური ამერიკის 130 მილიონამდე მცხოვრები სასმელი წყლის მუდმივ ნაკლებობას განიცდის. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კონტინენტის სასმელი წყლით უზრუნველყოფის პოტენციური შესაძლებლობა, მისი მწვავე დეფიციტი თითქმის ყველა ქვეყანაში იგრძნობა. ლათინური ამერიკის სახელმწიფოებში, კუბის გამოკლებით, ჰიდროენერგეტიკული რესურსების მხოლოდ ხუთი პროცენტია გამოყენებული.

გარკვეული ნაყოფი გამოიღო პერუს რესპუბლიკაში განხორციელებულმა სოციალურ-ეკონომიურმა გარდაქმნებმა. სხვა პრობლემებთან ერთად მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა პერუს ქალაქებისა და სოფლების ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფას.

სურათებზე: პერუს სოფელ ხუანჩუაში ხასმელი წყალი ცისტერნებით მიაქვთ, მაგრამ ბავშვები ხშირად ასეთ წყაროებსაც ეტანებიან (მარცხნივ); ამავე სოფლის მცხოვრებლებს საკუთარი ძალებით გაჰყავთ წყალსადენი (მარჯვნივ).

კამერა პრეს-საკადესის ფოტო.

სსრ

ტელეტაიპის ლენტიდან

● **ბუდაპეშტი. შარშან 600 ათასმა ბუდაპეშტელმა მიიღო ახალი ბინა. 1980 წლამდე აქ ახალმოსახლეობას კიდევ 100 ათასზე მეტი ოჯახი გადაიხდის.**

● **რომი. ამერიკის შეერთებული შტატების მე-6 ფლოტის ავიამზიდი „ფრანკლინ დელანო რუზველტი“ მეხსინის სრუტეში ლიბერიის სატვირთო გემს დაეჯახა. დაჯახების შედეგად ვეფი სერიოზულად დაზიანდა.**

● **ნიუ-იორკი. ძლიერი ხანძარი გაჩნდა ამერიკის ქალაქ ფილმონტში (ნიუ-იორკის შტატი). ცეცხლში გაეხვია ქალაქის მთელი უბნები. 1.700-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები იძულებული გახდა სასწრაფოდ მიეტოვებინა სახლები.**

● **ფრიტაუნი. სიერა ლეონე დაინტერესებულია იმით, რომ კიდევ უფრო განავითაროს ეკონომიური ურთიერთობა სსრ კავშირთან, განაცხადა რესპუბლიკის პრეზიდენტმა სიაკა სტივენსმა. სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს დელეგაციის მიღებისას მან კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ეფექტიანად ხორციელდება მთავრობის შეთანხმება ორ ქვეყანას შორის თევზის მეურნეობის დარგში თანამშრომლობის შესახებ.**

მათი ფნე-ჩვეულება

კვლავ ქრთამები

კაირო. ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის სახელმწიფო პროკურატურაში მოამზადეს მოხსენება „ეგვიპტის კომპარტიის“ „ჰიპტ ეორის“ მიერ ამერიკის შეერთებული შტატების „ბოინგის“ ტიპის ოთხი სამგზავრო თვითმფრინავის შესასყიდად 1972 წელს კონტრაქტის დადების გარემოებათა გამოძიების შედეგების შესახებ. მოხსენების ძირითადი დასკვნები ცნობილი გახდა კაიროს პრესისათვის, რომელიც უკანასკნელ ხანებში „ბოინგთან“ გარიგებას დიდ ყურადღებას უთმობს. ეყრდნობიან რა ამ მონაცემებს, გაზეთები წერენ, რომ კონტრაქტი ამერიკის თვითმფრინავსაშენებელ ფირმასთან „იმ კოლოსალური ზარალის მიზეზი გახდა, რომელიც ეგვიპტის ეროვნულ ავიაკომპანიას მოუვიდა“.

გამოძიების დროს გამოირკვა, რომ ეგვიპტის ეროვნულ ავიაკომპანიას არ სჭირდებოდა ისეთი ტიპის თვითმფრინავები, რომლებიც „ბოინგის“ კომპანიამ მიაწოდა მას. უფრო მეტიც, თვითეული თვითმფრინავი ეგვიპტის კომპანიას 1,5 მილიარდი დოლარით უფრო ძვირი დაუჯდა, ვიდრე ისინი საერთაშორისო ბაზარზე იყიდება.

ოკეანესგადმელმა საქმოსნებმა ერთხელ კიდევ გააცურეს ეგვიპტელი პარტნიორები თვითმფრინავების შესასყიდად მიცემული კრედიტების პირობებში, რომელთა შესაბამისად ეგვიპტეს პროცენტების სახით უხდა გადაეხადა სესხზე ერთიორად მეტი თანხა.

„ბოინგის“ კომპანიასთან ესოდენ არანელსაყრელი კონტრაქტის დადების მთავარ დამნაშავედ ეგვიპტის პრესა ახლა ასახელებს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის მინისტრს ყოფილ მრჩეველს მუსამედ ჰილმი შამსს, რომელმაც, როგორც გაზეთი „ალ-აჰბარი“ წერს, აღიარა, რომ „ბოინგისათვის“ გაწეული სამსახურის სანაცვლოდ მიიღო 200 ათასი დოლარი „საკომისიოს“ სახით. გამონაკლისი არ არის, რომ საკომისიოები, ან მარტივად რომ ვთქვათ ქრთამები, უხვად მიიღეს სხვა ოფიციალურმა პირებმაც, რომლებმაც ხელი შეუწყეს გარიგების დადებას. იგივე მ. ჰ. შამსამ თქვა, როცა „ბოინგის“ წარმომადგენელი მას ერთვავმი ჩეკს გადასცემდა, თურმე ბოდიში მოუხდია, რომ თანხა ესოდენ „უმნიშვნელო“ იყო და ეს იმ მეტისმეტად დიდი ხარჯებით არის გამოწვეული, რომლებიც კომპანიამ კონტრაქტის ხელმოწერის დროს გაიღოო. ეგვიპტის პრესა სვამს კითხვას: ამ არასასურველი გარიგების მიღმა ეგვიპტის მთავრობის მაღალი თანამდებობის პირებიც ხომ არ დგანანო?

არჩევნები პარაგვაულად

გუეენოს-აირესი, 12 იანვარი. (საკადესი). პარაგვაელი დიქტატორი სტრესნერი ცდილობს გააგრძელოს ხელისუფლების სათავეში თავისი ყოფნის ვადა, რომლის უზურპაცია მან 1954 წელს მოახდინა. მისი მითითებით „კოლორადოს“ მმართველმა პარტიამ მოიწონა კონსტიტუციის შესწორება, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე მეექვსე ვადით იყოს „არჩეული“.

ეს შესწორება უნდა დაამტკიცოს დამფუძნებელმა კრებამ. მისი არჩევნები გაიმართება 6 თებერვალს. როგორც ოფიციალურად გამოაცხადეს, არჩევნებში კენჭს იყრიან მხოლოდ „კოლორადოს“ პარტიის კანდიდატები.

როგორც ცნობილია, არჩევნები პარაგვაიში წინათაც ფარსი იყო ხოლმე. არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა არა ჰქონიათ. მემარცხენე პარტიებს, რომლებიც რეჟიმის გავლენით არალეგალურად მოქმედებენ. პარაგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა როხელიო გონსალბანის ხალხგადოებრიობის აზრით, ტელ-ავივის ასეთი მოქმედება ლიბანის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა და მისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დარღვევაა. ჯერ კიდევ ხუთმეტრის დამლევს ისრაელმა გამოაცხადა, რომ იგი ვერ შეურიგდება არაბული ქვეყნების ძალების ყოფნას სამხრეთ ლიბანში ამ ქვეყნის მშვიდობის შესანარჩუნებლად. ამ მომენტიდან ტელ-ავივის პროვოკაციული საქმიანობა იქითკენ იყო მიმართული, რომ ხელი შეეშალა ლიბანის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. სამხრეთ ლიბანში დაძაბულობის გაძლიერებითა და მემარჯვენე ქრისტიანთა ძალებისადმი აქტიური მხარდაჭერით ისრაელი ცდილობს არაბთა საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშოროს ისეთი მთავარი პრობლემის გადაწყვეტას, როგორიცაა ოკუპირებულ ტერიტორიათა განთავისუფლება და პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ ეროვნულ უფლებათა დაკმაყოფილება.

ლებანონ სოციალისტური ორგანიზაციის ლიდერ კამალ ჯუმბლატმა აღნიშნა, რომ ეს არჩევნები ხალხის ნების ნამდვილი გამოხატულება არ არის. მათ მოწყობას, ოფიციალური ხელისუფლების გარდა, კონტროლს არავინ არ უწევს. საარჩევნო უბნებში მხოლოდ „კოლორადოს“ პარტიის წარმომადგენლები არიან.

როგორც ჩანს, სტრესნერი აპირებს სამუდამოდ შეინარჩუნოს პრეზიდენტის პოსტი, იგი მეექვსედ ამზადებს თავის შვილს გუსტავოს. თავისი მიზნების მისაღწევად დიქტატორი ცდილობს გატეხოს მოწინააღმდეგეთა ურჩობა, მიმართავს რეპრესიებს.

საერთაშორისო კანონების წინააღმდეგ

ბეირუთი. (საკადესი). უკვე რამდენიმე კვირაა დაძაბული ვითარება გრძელდება სამხრეთ ლიბანის ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურის — ქალაქ ტიერის რაიონში. პრესის ცნობებით, მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებში შეიარაღებული მეტაკვანები ხდება მემარჯვენე ქრისტიანთა ძალებსა და პალესტინელ პარტიზანებს შორის. ისრაელი განაგრძობს ჯარების კონცენტრაციას ლიბანის სახღვარზე, სანავსადგურო ქალაქ ტირის ბლოკირებას.

დაეპატიმრეს ტერორისტები

რეაქციონერები არ ცხრებიან

ლისაბონი. (საკადესი). ამ დღეებში უშიშროების ორგანოებმა აღმოაჩინეს პორტუგალიის ტერიტორიაზე მოქმედ ტერორისტთა ჯგუფი.

ლისაბონის ეშტორილის გარეუბანში დაატაბრეს ხუთი კაცი. როგორც ვარაუდობენ, ისინი შედიოდნენ „საიერიშო ჯგუფში“, რომელიც რამდენიმე თვის წინათ ცდილობდა თავს დასხმოდა ნავსადგურის მსხვილი ბანკის შენობას. დაეკვეს აგრეთვე ცნობილი ანგოლელი მრეწველი ანდერუ ანდრადე ე სილვა, რომელიც არალეგალურად ცხოვრობდა ქვეყანაში, და პოლიციის აზრით, ამ განუხორციელებელი თავდასხმის ორგანიზატორი უნდა ყოფილიყო.

იმავე დღეებში დედაქალაქში თანამშრახველი დაუპატიმრეს ვინმე მენდეზ ჟასინტუს, რომელმაც ქვეყნის საამრეთში ყალბი ამერიკული დოლარების დასამზადებელი ნამდვილი ფაბრიკა მოაწყო ძირგამომთხრელი საქმიანობის დასაფინანსებლად. ორივე დაპატიმრებულს ჩამოართვეს პასტოლეტები, ხელის გრანატები და „საკუთარი წარმოების“ დოლარები.

კარიკატურისტის კომენტარი

ისრაელის ბიუჯეტის მეტი ფილი სამხედრო ხარჯებს ხმარდება. (გაზეთებიდან).

ისრაელური მახრჩობელა.

ბ. ლომბიძის ნახატი.

სამშობლო დაკარგეს

სიონისტური პროპაგანდის მსხვერპლთა მწარე ხვედრი

ოსტია — რომის ზღვისპირა გარეუბანი, მისი „სპლაჟო“ განაპირა მხარეა. მაგრამ უკვე დიდი ხანია ზღვის ტალღებმა ოსტიის კიდეებთან ლაჟვარდოვანი გამჭვირვალება დაკარგა. ახლა ეს ყვიოელ-ყავისფერი ქაფია. სანაპიროს გასწვრივ კი დაინახავთ ფირფიტებს, რომლებზეც წარწერილია: „ბანობა კატეგორიულად აკრძალულია“. გზეთები იუწყებიან, რომ ოსტიის ნაპირების გასწვრივ ზღვაში, რომელიც უკიდურესად გაჭუჭყიანებულია ნავთობგადამუშავების პროდუქტების და საკანალიზაციო სისტემების ჩანადენებით, აღვილია ინფექციური სიყვითლით ანდა, კიდევ უარესი, მუცლის ტიფით დაავადდე.

ოსტია არც არქიტექტურული პეიზაჟებით ახარებს თვალს. თავზარდამცემ შთაბეჭდილებას ახდენს ერთმანეთს მიყუჟული უამრავი რკინა-ბეტონის შემოსაღელავი სახლი, ფუხჭვეშ მთელი ბალახი რომ გაუთელავთ, ღატაკთა ბიდონვილის კედელთან შარშან მხეცურად მოკლეს ცნობილი იტალიელი პოეტი, მწერალი და კინორეჟისორი პაოლო პაზოლინი. უკაცრიელ გარეუბნებში ხშირად თამაშდება ხოლმე სისხლიანი დრამები: აქ რომის დანშაულეობის სამყარო გამეფებულა.

ამ ღვთისგან მივიწყებული ადგილის ერთ-ერთ უშნო უბანში საბჭოთა მოქალაქეები ცხოვრობენ, რომლებმაც ისრაელში წასვლა ისურვეს. იმათ, ვინც მარშრუტი შეიცვალა და ისრაელის ნაცვლად ამერიკის შეერთებულ შტატებში ან კანადაში გამგზავრება გადაწყვიტა, ვიზის მოლოდინში ოსტიაში ყოფნა უხდებათ. მოლოდინი დიდხანს გრძელდება: ზოგჯერ რამდენიმე თვეს, უფრო ხშირად — რამდენიმე წელიწადს. ემიგრანტებმა ლუკმაპური უნდა მოიპოვონ ქვეყანაში, სადაც ინფლაცია მძვინვარებს, სადაც ძალიან ძვირია ბინა, სადაც შეუძლებელია სამუშაოს მიღება. ადამიანებს, რომლებსაც იტალიური ქვეშეგრდომობა არა აქვთ, აქ კანონით ეკრძალებათ სამუშაოზე მოწყობა, რადგან მილიონობით იტალიელს თავად ვერ უშოვია სამუშაო.

რომში ჯერ კიდევ ომისშემდგომი წლებიდან კვირა დღეებში მოქმედებს ხარახურის ბაზარი, რომელსაც იტალიელები, იმ დროის სამახსოვროდ, როცა აქ ამერიკელი ჯარისკაცები მოპარულ სამხედრო ქონებას ასაღებდნენ, „ამერიკანკას“ უწოდებენ. ამჟამად „ამერიკანკაში“ სავაჭრო რიგები ოსტიიდან ჩამოსულ ლტოლვილებს უკავიათ, ზოგი „მატერიშკებით“, ზოგი შავი ფულით, ზოგი კი ყალბი რუსული ანტიკვარით ვაჭრობს — ერთი სიტყვით, ვისაც რა აქვს. აქ ინტერვიუსათვის ხშირად ჩამოდიან ხოლმე ჟურნალ-გაზეთების რეპორტიორები. ინტერვიუირებულთა შორის ყოფილი ინჟინრებიც, ყოფილი ექიმებიც და ყოფილი მუსიკოსებიც კი არიან. ისინი სიონისტური პროპაგანდის დაპირებებს დახარბდნენ და მიატოვეს სამუშაო, რომელიც ოდესღაც მათ მორალურ კმაყოფილებას ანიჭებდა, გარშემო მყოფთა პატივისცემას იმსახურებდა, კარგ ხელფასს უზრუნველყოფდა.

„პროფესორო, — გაოცებით იტყობინება იტალიური ჟურნალი „ფამილია კრისტიანა“, რომელიც ოსტიაში ამ ადამიანთა ცხოვრებას ამუქებს, — მემუშაონილის ურიკას ეზიდება. ინჟინერი კალატოზის როლს ასრულებს. მეკიოლინე სახლიდან სახლში თეთრეულს გასარეცხად დადის“.

რამდენიმე ოჯახი ერთად ქირაობს ხოლმე ბინებს და საშინელ სივიწროვეში ცხოვრობს. ყველაზე ღატაკური კატეგორიაა, ეგრეთ წოდებული განმეორებით ემიგრანტები, ე. ი. ადამიანები, რომლებიც ემიგრაციაში წავიდნენ ისრაელში, შემდეგ კი „ალთქმული ქვეყნიდან“ გაიქცნენ. ოსტიაში ისრაელიდან წასული სამასამდე ყოფილი საბჭოთა მოქალაქე ცხოვრობს. ბევრი მათგანის მდგომარეობა ტრაგიკული, გამოუვალია. მათ სიონისტური ორგანიზაციები სდევნიან როგორც „მოღალატეებს“. ადამიანები იმდენად არიან დაშინებული, რომ ლაპარაკსაც კი ვერ ბედავენ.

ახლახან საინიციატივო კომიტეტმა 300 ებრაელის, ყოფილი საბჭოთა მოქალაქეების სახელით წერილები გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და საბჭოთა კავშირის რომის საელჩოს. წერილებში ლაპარაკია სიონისტური პროპაგანდის მსხვერპლთა მწარე ხვედრზე, რომლებმაც საშობაოდ დაკარგეს და ისრაელ პოლიტიკოსთა ხელში ხურდა ფულად იქცნენ, „სიონიზმი სიცოცხე, სიმწარე და უბედურებაა ებრაელი ხალხისათვის, წერენ ისინი. ასე ეფიქრობთ ჩვენ, ისრაელში გამოქცეულ და ამჟამად იტალიაში მცხოვრებ ებრაელთა, ყოფილ საბჭოთა მოქალაქეთა ჯგუფი. ჩვენ ვვეგონა, ყოველ ჩვენგანს დამაჯერებელი მიზეზები გვქონდა ისრაელი წამოსასვლელად. ზოგს ენდოდა თავის ნათესავებს შეხვედროდა, ზოგი იმედოვნებდა, დიდ გასამრჯელოს ვიშოვი და იოლ ცხოვრებას ვნახავო, ზოგს კი ეგონა, სწორედ ისრაელშია ყველა ებრაელის ნამდვილი სამშობლო. მაგრამ წამოსვლის მთავარი მიზეზი იყო სიონისტური პროპაგანდა, რადიო „ისრაელის ხმის“ გადაცემები, სიონისტთა კარნახით დაწერილი წერილები დიდი ხნის დავიწყებული ანდა საერთოდ არარსებული ნათესავებისაგან, გულუხვი დაპირებანი და მაღალფარდოვანი ლაყბობა ებრაელთა „მსოფლიო ძმობის“ შესახებ...

ისრაელში ყველაფერი უცხო აღმოჩნდა: უცხო ჩვეულებები, უცხო ენა, მტრული დამოკიდებულება, მკვიდრი მოსახლეობის სიძულვილი ჩვენდამი, რასობრივი თუ რელიგიური პრინციპით ადამიანთა დაყოფის პოლიტიკა, რომელსაც ხელისუფალნი ახორციელებენ. სიონისტები შვილებს გვართმევენ და არმიაში მიჰყავთ, სახღვრის ყველაზე საშიშ უბნებზე, ზოგჯერ სასიკვდილოდაც გზავნიან მათ. მათ აიძულებენ იომონ უცხო ინტერესებისათვის იმ ხალხთა წინააღმდეგ, რომლებთანაც ჩვენ არავითარი მტრობა არ გვქონია და გვსურს მშვიდობიანად ვიცხოვროთ.

„წყეულიმც იყოს ის წუთი, როცა აზრად მოგვივიდა განვშორებოდით სამშობლოს, სადაც დავიბადეთ, სადაც სახლი, მეგობრები და ნათესავები, ენა და კულტურა დაეტოვეთ.

ჩვენ მოვუწოდებთ სსრ კავშირის ყველა ებრაელს ყურადღონ ჩვენი ხმა, არ დაუჯერონ სიონისტურ პროპაგანდას“.

ოსტიაში შეეხვედით იმ მრავალრიცხოვანი ემიგრანტული ფენის წარმომადგენელსაც, რომელიც ჯერ კიდევ სსრ კავშირში ყოფნისას, სიონისტურ ლიტერატურას ავრცელებდა, პროპაგანდას უწევდა კაპიტალისტური სამყაროს „სკეთეს“, ცილს სწამებდა საბჭოთა წყობილებას.

აი რას ამბობს იანკელ ხანერსი, რომელსაც სსრ კავშირიდან დასავლეთში გამგზავრებამდე „თვალსაჩინო დისიდენტად“ წარმოსახავდნენ. ხანერსი მალავს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს აქტიური მტერი იყო, რომ ებრძოდა მის წინააღმდეგ. კანონსაწინააღმდეგო საქმიანობისათვის სასამართლომ მას ოთხი წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასჯელის მოხდის შემდეგ ხანერსი ისრაელში წავიდა.

„ისრაელში ჩემი ცხოვრების პირველ თვეებში, — იგონებს იგი, — აქტიურად მიყენებდნენ ანტისაბჭოური პროპაგანდისათვის. ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთგვარი პროპაგანდისტული ტურნეც კი მოაწყვეს და წამაკითხეს „ლექციები“ „საბჭოთა სამაკიმროებში პატიმართა საშინელი მდგომარეობის შესახებ. მალე ჩემი „მტკიცებანი“ ყველას მობეზრდა, მე ისრაელში დავბრუნდი, სადაც ჩემი ტანჯვა-წვალება დაიწყო. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ისრაელიდან გავიქეცი...“

„სამასთა წერილს“ ისრაელში ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა. მემარჯვენე გაზეთები ცდილობდნენ წერილში მოყვანილი ფაქტების უარყოფას და ოსტიაში თავიანთი კორესპონდენტები გაგზავნეს. მაგრამ ის, რაც რეპორტიორებმა ნახეს, კიდევ უფრო საშინელი აღმოჩნდა. ლტოლვილები, როგორც ამბობენ, ვაის გაეყარნენ და ვუის შეეყარნენო, წერს იტალიის პრესა.

ასეთია სიმართლე ადამიანებზე, რომლებმაც სამშობლო დაკარგეს და ამას მწარედ ნანობენ.

ი. გოჩაროვი,
ახალი ამბების სააგენტოს საკ. კორ.

რომი.

ვინ ძლევს ტონს

ბრიჯტონი. (საკადესი). შეერთებულ შტატებში ბუდაპეშტელ მიმოსვლელის ტანტალეს ბოლოს მიმოსვლელის ტანტალეს და სამხედრო — დაბალფრენილ ტანტალეს გამო. ამერიკის მხედრიონი, რეაქციული პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ინტერესებს გამოხატავენ, 20 იანვარს მიმავალი რესპუბლიკური ადმინისტრაციის ზოგიერთი ოფიციალური წარმომადგენელი ცდილობენ ქვეყანაში შეაშინონ „სამხედრო ფსიქოზის“ ვირუსი, დააშინონ ამერიკელები „ჭარსებული „საპტოთა სამხედრო საფრთხით“ და შეუმზრნველად მიაღწიონ სამხედრო ბიუჯეტის კიდევ უფრო მკვეთრ გადიდებას, დაარჩარონ ახალ სისტემათა და სახეობათა იარაღის შემუშავება და წარმოება.

პენტაგონი ახლა ახორციელებს ყველა სახეობის შეიარაღების მოდერნიზაციას — შაშხანით დაწყებული ელექტრონული რაკეტებით დამთავრებული. მის მოთხოვნილებებს ამ მიზნებისათვის საზღვარი არა აქვს. გენერლები და სამხედრო მრეწველები მოითხოვენ სულ უფრო მეტ და მეტ სახსრებს. აძლიერებენ გამაღიზიანებელ შეიარაღებას. როგორმე რომ განამტკიცონ თავიანთი მოწოდებანი, ამთ კვლავ გამომაზეურეს ეგრეთწოდებული „პირველი დარტყმის“ ყბადაღებული თეორია, რომლის თანახმად ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლია პირველმა გამოიყენოს ატომური იარაღი. ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტული წრეები უარყოფენ სტრატეგიული ძალების თანასწორობის პრინციპს, რომელიც რეალობად იქცა და რომელზეც დაფუძნებულია ბოლო წლებში საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობა. ისინი მოითხოვენ შიდქმნას „უპირატესი სამხედრო ძლიერება“, რათა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში გამოდიოდნენ დიდი ჯანია გაკოტრებული „ძალის პოზიციიდან“. ეს წრეები არ ცნობენ ერთადერთ გონივრულ და რეალისტურ პრინციპს, რომლის თანახმად საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას საფუძვლად უნდა დაედოს მხარეთა თანაბარი უშიშროების უზრუნველყოფა და ცალმხრივ უპირატესობათა ძიებაზე უარის თქმა.

როგორც ყოველთვის, ამ მილიტარისტულ კამპანიას პენტაგონი შეთაურობს. მან მოამზადა და პრეზიდენტად არჩეულ ჯ. კარტერსა და მის უახლოეს მრჩეველებს წარუდგინა „დოკუმენტების მთელი ტომი“ ერთნული თავდაცვის პრობლემებზე. ამ დოკუმენტების ანალიზი, წერს „ი. ს. ნიუს-ენდ უორლდ რიპორტი“, გვიჩვენებს, რომ პროფესიული სამხედრო ხელმძღვანელები იმ პოზიციების წინააღმდეგი არიან, რომლებსაც ჯ. კარტერი დაადგა საარჩევნო კამპანიის დროს, კერძოდ სამხედრო ბიუჯეტის რამდენადმე შემცირების იდეების წინააღმდეგი არიან.

ათავისუფლებენ დამნაშავეებს

ბონი. (ხაკდესი). დასავლეთ გერმანიის უდიდესი ანტიფაშისტური ორგანიზაცია — ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანება-ანტიფაშისტთა კავშირი აღშფოთებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რეაქციული ძალები სულ უფრო ფართო კამპანიას ეწევიან ყოფილ ნაციხტთა რეაბილიტაციისათვის.

ჰამბურგის სენატის ეგრეთ წოდებულმა „შეწყალების კომისიამ“ მიიღო გადაწყვეტილება გაათავისუფლოს სამხედრო დამნაშავე მ. კრამერი — ყოფილი სს-ელი, რომელსაც რამდენიმე წლის წინათ სამუდამო პატიმრობა მიესაჯა მეორე მსოფლიო ომის წლებში ხუთასამდე საბჭოთა და პოლონელი მოქალაქის დახოცვაში მონაწილეობისათვის.

იმავე კომისიამ გაათავისუფლა სს-ის ყოფილი უნტერშტურმფიურერი ვ. როზენბაუმი, რომელიც 1942-43 წლებში პოლონელ მოქალაქეთა გაჟღეტის „აქციებში“ მონაწილეობდა და მასაც სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი.

სასამართლო ხელისუფალთა ასეთი მოქმედება, ხაზს უსვამს ორგანიზაცია, შეუთავსებელია ხალხთა მოთხოვნებთან ნაციტ სამხედრო დამნაშავეთა დასჯის შესახებ.

ეს საინტერესოა

თავისუფლება ოთხი საუკუნის შემდეგ

**როგორც ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი დელიდან იუწყება, ამას წინ



კოროლიოვის სახლ-მუზეუმი

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 12 იანვარს სარაკეტო ტექნიკისა და სარაკეტო-კოსმოსური სისტემების ცნობილ საბჭოთა მეცნიერს, პრაქტიკული კოსმონავტიკის ფუძემდებელს, ორგზის სოციალისტური შრომის გმირს, ლენინური პრემიის ლაურეატს აკადემიკოს სერგეი პავლეს-ძე კოროლიოვს დაბადების 70-ე წელი შეუსრულდა.

1957 წლის 4 ოქტომბერს ორბიტაზე გაიყვანეს დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი. პირველ თანამგზავრებს მოჰყვა კოსმოსური ხომალდებისა და საალნეტათშორისო ავტომატური სადგურების საცდელი გაფრენები.

ს. პ. კოროლიოვის ხელმძღვანელობით იქმნებოდა თანამგზავრები, პილოტირებული კოსმოსური ხომალდები, საპლანეტათშორისო სადგურები და მათი რაკეტა-მატარებლები, გადაიდგა ნაბიჯები ადამიანის მიერ კოსმოსური სივრცის ათვისების დარგში.

კოსმონავტიკას დიდი მომავალი აქვს, და მისი პერსპექტივები ისევე უსაზღვროა, როგორც თვით სამყარო", — ამბობდა ს. პ. კოროლიოვი.

ამ დღეებში ბევრი მოსკოველი და დედაქალაქის ხტუმარი მოდის ს. პ. კოროლიოვის მემორიალურ სახლ-მუზეუმში, რომელიც ოსტანკინოს მე-6 შესახვევში დგას. ახლინ ეცნობიან სახლ-მუზეუმის მრავალფეროვან ექსპოზიციებს.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ს. პ. კოროლიოვის მემორიალურ სახლ-მუზეუმთან; ი. ა. გაგარინის დედამ ანა ტიმოთეს ასულმა და დამ — ზოია ალექსის ასულმა სახლ-მუზეუმს საჩუქრად გადასცეს ფოტოსურათები, რომლებიც დაკავშირებულია მსოფლიოში პირველი კოსმონავტის ცხოვრებასთან.

ვ. კუზნეცოვის ფოტო (საკვლევის ფოტოქრონიკა).

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲔᲑᲖᲔ

გამოცდა წრთობაა

რუსკუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ზამთრის სესიები მიმდინარეობს. გამოცდებს გადის ჩვენი სტუდენტებიც.

რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ ეწყობა ზამთრის სესიები საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს უმაღლეს სასწავლებელში — თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სახელმწიფო უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტის 1.600 სტუდენტის სწავლა-აღზრდის მეტად პასუხსაგებ საქმეს 1.309 პროფესორ-მასწავლებელი ემსახურება, უნივერსიტეტის ახალი მაღლივი კორპუსის გარდა სტუდენტთა განკარგულებაშია 5 კორპუსი, 231 კაბინეტ-ლაბორატორია, დიდი ბიბლიოთეკა და ნათელი აუდიტორიები.

რექტორატი წინასწარ მოემზადა სესიების უკეთ ჩატარებისათვის. ახალგაზრდებთან სავსე დეკანატებში მეცადინეობებს დაუსადგურებია. აუდიტორიებსა თუ კაბინეტ-ლაბორატორიებში პროფესორ-მასწავლებლები გამოცდებს იბარებენ. ეს პერიოდი ყველაზე მნიშვნელოვანია სტუდენტების ცხოვრებაში. აქ მარტო სემესტრში გაწეული შრომის შეფასება როდი ხდება, ვლინდება მათი აზროვნების უნარი, ნებისყოფის სიმტკიცე.

სკკპ XXV ყრილობამ დიდი ამოცანები დაუსახა ჩვენს სტუდენტებს. ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვან სახალხო მეურნეობას მაღალკვალიფიციური სპეციალისტები სჭირდება, რომლებმაც მომავალი უნდა აშენონ. ხესიები ხომ სპეციალისტის ჩამოყალიბების ერთგვარი საფეხურებია.

ქიმიის ფაკულტეტიდან (დეკანი დოც. შ. მიქაძე) დღის განყოფილების 310 და საღამოს განყოფილების 257 სტუდენტი აბარებს გამოცდას.

ერთ-ერთი კაბინეტის წინ სტუდენტები ცხარედ კამათობენ. ზოგს ჯიგი გადაუწლია და თავისთვის კითხულობს, ზოგსაც ფორმულები ფურცლები აუჭრელებია. ორ ჯგუფს უკვე ჩაუბარებია გამოცდა. ესენი კი მე-3 კურსის 443 ჯგუფის სტუდენტები არიან, ორგანულ ქიმიაში გამოცდას პროფესორ ი. გვერდწითელს აბარებენ.

სტუდენტებს ბილეთები აუღიათ და მოსაფიქრებლად სხედან, ნ. ნაცარაშვილი უკვე იძლევა პასუხს. სამივე ჯგუფში 12 ფრიადი დაიწერა, ათმა კარგი შეფასება მიიღო. სამებიც ბევრი გამოერია, რამდენიმე კი თვის ბოლოს კვლავ გამოცდაზე გავა...

დეკანის მოადგილე დოცენტი დ. წაქაძე აუდიტორიაში შეგვიძღვა, სადაც დოცენტი შ. მიქაძე გამოცდას იბარებდა ქიმიურ ტექნოლოგიაში. საღამოს განყოფილების მე-5 კურსის სტუდენტებმა ც. ჩუთლაშვილმა, მ. ფავლენიშვილმა და თ. ციბაძემ სწავლა და შრომა, როგორც ჩანს, კარგად შეუთავსეს ერთმანეთს, სამივემ ფრიადი დაამსახურა, ასევა, გამოცდაზე პირველად წარჩინებულები გადიან.

საღამოს განყოფილების მეორე კურსის სტუდენტები არაორგანულ ქიმიაში გამოცდას აბარებდნენ დოცენტ გ. ჯოხაძეს. სტუდენტი ლ. ტატუაშვილი პასუხს მორჩა და ჩათვლის წიგნაკი ლექტორს გადასცა. ოთხიანი მიიღო, მისი ადგილი ახლა ნ. ნავორაძემ დაიკავა. ფრიადები მიეღოთ თ. გოგოლაურსა და თ. ალავიძეს. ც. ათამაშვილმა და თ. გვაზავამ კი ოთხები არ გაიფორმებინეს — უკეთესად მოვემზადებიო.

სხვებზე ნაკლებ არც ფილოლოგები დელავდნენ (დეკანი პროფესორი ვ. ხინთიბიძე). ქართველურ ენათა განყოფილების მეხუთეკურსელები ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს მ. შანიძეს აბარებენ გამოცდას. ბილეთი პირველად დ. მჭედლიანმა აიღო. საღამ, თავისუფლად მსჯელობდა, დამატებით კითხვებზე კი �ta გაუჭირდა, ამიტომაც მიიღო ოთხიანი. ლ. სოხაძემ და დ. შალამბერიძემ ფრიადებით დაიმშვენეს მატრიკულები, მ. ბაბილოძემ და ვ. ქლიფთარმა დამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღეს.

ანტიკური ლიტერატურის ისტორიაში გამოცდას პროფესორი რ. გორდეზიანი იბარებს. მეორეკურსელები მოსაფიქრებლად სხედან. გამომცდელი საკონტროლო კითხვებს ათვალიერებს. ანტიკური ლიტერატურიდან 30 კითხვა ისე არის შერჩეული, რომ სტუდენტის ცოდნის საერთო დონე გამოვლინდეს. ფურცელზე დაწერილ კითხვაზე სწორ პასუხს უსვამს ხაზს, ამის მიხედვით ადვილი გასაგებია, თუ როგორ იცის სტუდენტმა საგანი. გარდა ამისა მას დამატებით ეძლევა რამდენიმე ისეთი შეკითხვა, რომლებიც მისი დამოუკიდებელი აზროვნებისა და მოკლეთათა ურთიერთდაკავშირების უნარს გამოავლენს. მხოლოდ ამის შემდეგ იწერება ნიშანი.

ბოლოს ფიზიკის ფაკულტეტს მიკიკითხეთ. დეკანი დოცენტი ი. მაჩაბელი აუდიტორიისკენ გაგვიძღვა. გზადაგზა ვსაუბრობთ: ფაკულტეტზე 1.525 სტუდენტია, აქედან დღის განყოფილებაზეა — 1.225, სასწავლო ლაბორატორიების გარდა 5 პრობლემური ლაბორატორია გვაქვს. გამოცდები 5 იანვრიდან დავიწყეთ, პირველი შედეგები სასიხარულოა, ვნახოთ, რა იქნება შემდეგ.

მომავალი ფიზიკოსები დღის განყოფილების მეორეკურსელები დოცენტ გ. ვეფხვაძეს ზოგად ფიზიკას აბარებენ. აკადემიურად ძლიერ სტუდენტებს წინასწარ ჩაუბარებიათ გამოცდა. ეტყობა, ლექტორი სტუდენტების პასუხით კმაყოფილი არ არის. სამიანები ჩამოამწკრივა, ი. აგლაძემ ოთხიანი მიიღო, ორი კი უნიშნოდ გაუშვა.

საღამოს განყოფილების მესამე კურსის სტუდენტებს დიფერენციალურ განტოლებებში გამოცდა აქვთ დოც. ი. ტოროშელიძესთან. 50 კაციდან ჯერ თორმეტია გამოცდილი. დაფასთან „თბილისგვირაბმშენის" გვირაბგამყვანი ი. შავიძე განტოლებებს ხსნის.

დიდ გამოცდას გადიან მომავალი სპეციალისტები. ეს მათი ერთგვარი წრთობაა, მერე კი უმაღლესი განათლების დიპლომიანები დიდი ცხოვრების გზას დაადგებიან.

ბ. ᲓᲣᲠᲒᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.



ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მესამეკურსელები ლ. ბიწკინაშვილი და ქ. ბაბლიძე ფიზიკურ ქიმიაში გამოცდას აბარებენ დოცენტებს შ. სიდამონიძესა (მარცხნივ) და დ. ქიტაშვილს.

ბ. ᲒᲝᲒᲝᲜᲘᲫᲔᲡ ფოტო.

ᲐᲨᲔᲜᲓᲐ ᲛᲗᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ

ᲛᲔᲓᲘᲝᲜᲐᲠᲘ ალაზანი პანკისას ხეობის სოფლებს შუა ჩამოუდის. გალმა-გამოლა სოფლების მცხოვრებთ ერთმანეთში მიმოსვლა ყოველთვის უძნელდებოდათ, წყალდიდობის დროს კი სრულიად წყდებოდა. ომალოელებს. დუმასტურელებსა და სხვა სოფლების მცხოვრებთა სასოფლო-საბჭოში ან საბჭოთა მეურნეობის ცენტრში მისვლისათვის შორიდან უნდა მოეკლოთ და ისიც უგზოობის პირობებში.

ახლა ეს საკითხი მოგვარებულია. დამთავრდა ომალო-ბირკიანის კიდული ხიდის შშენებლობა.

ᲖᲔᲛᲝ ალაზნის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის შშენებლობასთან დაკავშირებთან, მდინარე ალაზანზე კაპიტალური ხიდი გაიდო. მდინარის მარცხენა სანაპიროზე, სადაც ცხენოსნისაც კი უჭირდა გავლა, ხიდიდან სოფელ ომალომდე დამთავრდა საავტომობილო გზის გაყვანა.

ახლა ალაზნის მარცხენა ნაპირზე მდებარე მთის სოფლები წინაუბახი, ზემო, შუა და ქვემო ხალაწანი, დუმასტური და სხვა სოფლები რაიონის ცენტრს, სასოფლო საბჭოს და პაპკისის საბჭოთა მეურნეობის ცენტრს ავტობუსით უკავშირდებიან.

ᲡᲝᲤᲔᲚ საკობიანოში ამენდა კლუბი, მას აქვს 200-ადგილიანი მაყურებელთა დარაზი.

Ა. ᲗᲕᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის" საკ. კორ.
ᲐᲮᲛᲔᲢᲐ.

ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲐ?!.

იბერიელთა ნაკვალევი

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ჩრდილო-აღმოსავლეთის შტატში — სეარაში ქვაბზე აღმოაჩინეს იდუმალი ნახატები. მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც მათ იკვლევს, ფიქრობს, რომ ნახატები ეკუთვნის ერთ-ერთი იბერიელი ხალხის წარმომადგენლებს, რომლებსაც ისინი დაუხატავთ იმაზე გაცილებით ადრე, ვიდრე რომაელები დაიპყრობდნენ ახლანდელი ესპანეთის ტერიტორიას. ზოგიერთი ნახატი გამოსახავს უძველეს ნავებს, რომლებსაც იმდროინდელი ზღვაოსნები იყენებდნენ ხმელთაშუა ზღვის აუზში.

სანამ არქეოლოგები და ისტორიკოსები თავიანთ მოსაზრებებს ვერ გასცილებიან ნახატების წარმოშობის თაობაზე, სეარის შტატის მოხერხებული მწყემსები მათ თავისებურად იყენებენ: მთ იდუმალი ნახატების ფორმა აიღეს და დამღები დამზადეს პირუტყვის დასადალავად. („იზვესტია").

ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲘ

დღეს დასავლეთ საქართველოში უმეტესად მშრალი ამინდია მოსალოდნელი,

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მცირე თოვლი, ზოგან ნისლი, ზეგები მოლიპული, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 2 გრადუსი სითბო-3 გრადუსი ყინვა, მთებში 2-7 გრადუსი ყინვა.

თბილისში მოსალოდნელია მცირე თოვლი, ტემპერატურა ნული-2 გრადუსი სითბო.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ

ᲒᲣᲨᲘᲜ დამთავრდა თბილისის ჭადრაკის სასახლის ტრადიციული ჩემპიონატი, რომელშიც 2 ოსტატი, 10 ოსტატობის კანდიდატი და 2 პირველობანრიგოსანი მონაწილეობდა.

პირველი ადგილისათვის ძირითადად სამი მოჭადრაკე იბრძოდა: ოსტატები ლომაია, ბოკუჩავა და ოსტატობის კანდიდატი კაპანაძე. ფინიშზე ლომაიამ მეტად საინტერესო კომბინაციით მოუგო ბოკუჩავას, რომელიც რამდენადმე ჩამორჩა მათ.

უკანასკნელი ტურის წინ კაპანაძე ნახევარი ქულით უსწრებდა ლომაიას.

უკანასკნელ ტურში ორივე მოჭადრაკემ გაიმარჯვა. ამრიგად, კაპანაძემ შეჯიბრება 10,5 ქულით დაამთავრა და ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მან ამ ტურნირში ენერგიული, შემტევი თამაში აჩვენა. 10 ქულით მეორე ადგილზეა ოსტატი ლომაია. 9 ქულით მესამე ადგილზე გამოვიდა ბოკუჩავა.

როგორც ცნობილია, ტურნირში მონაწილეობდა თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ნახევარმცველი მანუჩარ მაჩაიძეც, რომელსაც ჭადრაკში პირველი თანრიგი აქვს. მაჩაიძემ რამდენიმე პარტია საინტერესოდ ითამაშა და საბოლოოდ მე-12 ადგილზე გამოვიდა.

Գ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲒᲡ Ქ. ᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲘᲒᲐᲨᲘ გრძელდება მოსწავლეთა საკავშირო პირველობა ჭადრაკში. ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. 6 ტურის შემდეგ ეროგნათა შორის 5,5 ქულით ტურნირს ლიდერობს თბილისელი ქ. მელაშვილი. გუშინ, მეექვსე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ნორჩი თბილისელი ოსტატები ნ. იოსელიანი და ნ. გურიელი. გაიმარჯვა ოსელიანმა, რომელსაც ახლა 4 ქულა აქვს, გურიელმა 3 ქულა მოაგროვა.

ჭაბუკთა შორის ლიდერთა ჯგუფში თბილისელი ოსტატობის კანდიდატი ი. ეფიმოვი (6 თამაშიდან 4,5 ქულა).

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲧᲘᲜᲣᲚᲖᲔ

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ. გუშინ ლენინგრადის სკა-სა და სარატოვის „კრისტალის" მატჩით (ანგარიშით 4:3 გაიმარჯვა სკა-მ) დიდწყო საკავშირო ჩემპიონატის მესამე წრე. აი რა მდგომარეობა აქვს გადამწყვეტ მატჩების წინ ლიდერთა სამეულს: ცსკა — 33 ქულა 18 თამაშიდან, მოსკოვის „დინამო" — 26 ქულა, ჩელიაბინსკის „ტრაქტორი" — 24 ქულა. ბომბარდირთა სიას სათავეში უდგას მოსკოვის „დინამოს" კაპიტანი ალექსანდრე მალცევი.

ᲤᲔᲮᲑᲣᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲜᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ

ᲞᲠᲘᲖᲘ ᲛᲔᲝᲠᲔᲯᲔᲠ

ᲡᲝᲩᲘᲡᲐ და ეშერის სტადიონებზე დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი სახელგანთქმული ქართველი მეკარის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვლადიმერ მარღანიას სახელობის პრიზზე.

ტურნირის მთავარი ჯილდო, ისევე როგორც შარშან, მოიპოვა სსრ კავშირის ნაკრებმა (ეფროსი მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ს. მოსიაგინი). მეორე ადგილზეა მოსკოვის „დინამო", მესამეზე — ყირგიზეთის ნაკრები. მომდევნო ადგილებზე არიან თბილისის „გალთიადი", ტაშკენტის სპორტსკოლა და სოჩხეთის ნაკრები.

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ „ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ"

12 ᲒᲣᲜᲓᲘᲗ მიიღო მონაწილეობა ჭაბუკთა საკავშირო ტურნირ „მეგობრობაში", რომელიც ბათუმში გაიმართა. პირველი ადგილის ბედი გადაწყდა ბათუმის „დინამოსა" და მოსკოვის „სმენის" შეხვედრაში. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა, მეორე ადგილზეა ფოთის „ვოდნიკი", მესამეზე — „სმენა".

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში მინსკის რტი-მ თავის მოედანზე დაამარცხა გათამაშების აუტსაიდერი — სვერდლოვსკის „ურალმაში" — 83:67.

ᲐᲗᲘ ეროვნული ნაკრები გამოვა საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაში, მათ შორის წინა ტურნირში გამარჯვებული სსრ კავშირის ვაჟ კალათბურთელთა გუნდიც. პირველ მატჩებს სსრ კავშირის ნაკრები გამართავს თავის მოედანზე: 24 მაისს ბრაზილიის გუნდთან, 27 მაისს — მექსიკის, 29 მაისს — არგენტინის, 31 მაისს — კანადის, 3 ივნისს—აშშ-ის ნაკრებთან. შემდეგ ჩვენი გუნდი გაემგზავრება ოკეანეს გაღმა.

ᲰᲐᲓᲠᲐᲙᲘ. ჩასტინგსში (ინგლისი) გრძელდება საახალწლო საერთაშორო ტურნირი. ასპარეზობას სათავეში კვლავ ახალგაზრდა ლვოველი დიდოსტატი ოლეგ რომანიშინი უდგას. ბოლო ტურში მან დაამარცხა ხუელი კაპლანი (აშშ) და ახლა 8,5 ქულა აქვს 11 შესაძლებლობიდან. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვასილი სმისლოვმა ყაიმით დაამთავრა პარტია ჯვიმს ტარიანთან (აშშ) და 6,5 ქულა მოაგროვა.

ᲮᲔᲚᲒᲣᲠᲗᲘ. პოლონეთის ქალაქ პლოცკში მიმდინარე სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე სსრ კავშირის ვაჟთა გუნდმა ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად ალჟირის ნაკრებთან — 30:18. ჩვენი ხელბურთელები ექვსი ქულით ლიდერობენ ასპარეზობას პირველ ჯგუფში. მათ ჩასატარებელი დარჩათ წინასწარი ტურნირის კიდევ ერთი მატჩი — იუგოსლავიელებთან, რომლებიც ახლა მეორე ადგილზე არიან.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ქვეყნის ღია პირველობაში და სხვა შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის გაემგზავრნენ სსრ კავშირის პირველი და მეორე ჩოგნები, თბილისელები ალექსანდრე მეტრეველი და თეიმურაზ კაკულია.

Ა. ᲙᲝᲯᲚᲐᲕᲨᲕᲘᲚᲘ

ᲘᲕᲐᲜᲔᲡ-ᲫᲔ

ᲐᲚ. კოჯლავაშვილი დაიბადა 1906 წელს თბილისში, რკინიგზელის ოჯახში. იგი ჯერ კიდევ მოწაფე იყო, შრომითს საქმიანობაში რომ ჩაება. მუშაობდა რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში, 1928 წლიდან კომკავშირულ სამუშაოზე დაიწინაურეს. იყო გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციის განყოფილების გამგედ და ჟურნალ „ახალგაზრდა ბოლშევიკის" რედაქციის პასუხისმგებელ მდივნად, 1933-1934 წლებში კი საქართველოს ალკაკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

ალ. კოჯლავაშვილმა 1935 წელს დამთავარა თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტი და სამუშაოდ გაიგზავნა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალმა ალ. კოჯლავაშვილი 1936 წელს ზესტაფონიდან გამოიწვია და დანიშნა თბილისის ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ. 1937 წლის მაისიდან იგი გადაიყვანეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ჯერ ინსტრუქტორად, შემდეგ განყოფილების გამგის მოადგილედ და, ბოლოს — განყოფილების გამგედ.

1939 წლის აპრილიდან 1945 წლის ნოემბრამდე ალ. კოჯლავაშვილი მუშაობდა სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრად, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგედ, 1945 წლის ნოემბრიდან 1951 წლის ივლისამდე სამეცნიერო-კვლევითი ობიექტის დირექტორია, ხოლო 1952 წლის აგვისტოდან 1953 წლის აგვისტომდე — საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრია. პინიჭებული ჰქონდა გენერალ-მაიორის წოდება. აჩრეული იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატად.

1953 წლის დეკემბრიდან 1954 წლის [illegible] მუშაობდა [illegible] ინსტიტუტის მეტალურგიული ქარხნის [illegible] ინსტიტუტის მოადგილედ [illegible] ეროვნული [illegible] ბიბლიოთეკის [illegible] ეროვნული [illegible] ბიბლიოთეკის [illegible] ეროვნული [illegible] ბიბლიოთეკის